ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 31 მაისი 2004 №122 (2141) ფასი 50 თეთრი


# სადღა იყო ფეხბურთი, რომელსაც ფეხებით შესდგნენ





ბადრი კეთილაძის ფოტოები

## შეურაცხმყოფელი შეურაცხადები

## ვიტ ჯორჯიას ჩემპიონობა ჩააშხამეს



ბადრი კეთილაძის ფოტო

კაცობა და არაკაცობა: ბოლნისელი როინ ონიანი ჩაწიხლულ თანამსაჯს გურამ ჩიგოგიძეს გადაეფარა

# ბნელეთში გამოჭედილი ოქრო
## ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ...



გაგიკო კიკილაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი, უმაღლესი 15 ლიგა, მეორე ეტაპი — ოქროს მატჩი

თბილისი. 30 მაისი. 17 საათი. ეროვნული. 8 000 (ტევადობა 70 000)

### ვიტ ჯორჯია 2:0 სიონი

| | |
|---|---|
| 1:0 გოცირიძე (29), 2:0 გოჩაშვილი (74) | |
| ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, ადამია დათუნაიშვილი, ვ. გოჩაშვილი, (გველესიანი 66), რ. გოცირიძე (დეკანოსიძე 54), მარცვალაძე (ე. მერებაშვილი 75) *სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ლ. მერებაშვილი, ებანოიძე მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი | სიონი: ა. ლაბაძე, ს. ბურნაძე, ბაქრაძე, გილაური, სვანიძე (გ. შენგელია 62), ჭიჭვეიშვილი (უგრეხელიძე 27), გაბისკირია, სიჭინავა, კ. ალადაშვილი (ისიანი 67), რ. ონიანი, გონჩაროვი *სათადარიგონი:* შეყლაშვილი; დარსანია, გ. დოლიძე, ე. გვასალია მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: ონიანი (23), ბაქრაძე (68) | |
| გაძევება: გილაური (83) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი | |

**დავით თავართქილაძე**

**ესეც** ჩვენი „ოქროს მატჩი" — მახინჯი, სისხლიანი, სამარცხვინო და ჭკუის სასწავლებელი. და ესეც ჩვენი ჩემპიონი — „ვიტ ჯორჯია", რომელმაც „სიონს" მართლაც აჯობა და ღირსეული ოქროსმედალოსანი შეიქნა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ბევრი საინტერესო და კარგი საქმე წამოიწყო, მაგრამ ჩემპიონატის ბოლო მატჩში ძალიან დიდი იაღლიში მოუვიდა — ვერ უზრუნველყო წესრიგი სტადიონზე. შედეგი კი ასეთია — დასახიჩრებული გულშემატკივრები, ნაცემი მსაჯები და მწვრთნელი, სირცხვილი და თავის მოჭრა.

სანამ ბნელეთის ამბებს მოვყვებით, თამაშზეც ვთქვათ. პირველი წუთები „ვიტ ჯორჯიასი" იყო — სისწრაფე, გრძელი პასები, მოხდენილად გათამაშებული „კედლები", აგრესიულობა — ვიტელები ამით ჯაბნიდნენ სიონელებს, თუმც რამდენიმე კარგი შანსი გაანიავეს: გიორგი ადამიამ 18-20 მეტრიდან ხარიხას გადაავლო ბურთი, ლექსო ინწკირველმა თავით დაუგდო ბურთი დავით იმედაშვილს, ვინც სუსტად და ხელებში დაურტყა ავთანდილ ლაბაძეს. „სიონმა" ერთ-ერთ კონტრიერიშზე გამოიდო თავი — იური გაბისკირიამ კარგად უპასა მარჯვენა ფლანგზე გასულ კახა ალადაშვილს, მან ვიტელთა კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, რომლის კარში შემგდები არავინ გამოდგა. ამის მერე აქტიური ვლადიმერ გოჩაშვილი ორჯერ დაემუქრა „სიონს", მაგრამ ორჯერვე მიზანმა უმტყუნა.

და პირველი გოლი — გიორგი ადამიამ აუტიდან მოწოდებული ბურთი მარჯვენა ფლანგზე მოიგდო, „სიონის" საჯარიმოში ჩააწოდა, საიდანაც რევაზ გოცირიძემ მართლაც ეფექტურად დაარტყა — 1:0.

„სიონის" გულშემატკივრები პირველ იარუსზე, დასავლეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნების შერწყმასთან იყვნენ მოკალათებულნი და გოლით გახარებული გოცირიძე მაგინებელ გულშემატკივრებს მიუბრუნდა, თითი პირთან მიიდო, ჩუმად, ნუ მლანძღავთო, მაგრამ აგრესია არ წყდებოდა და გოცირიძემ მალე „მკვახე" ჟესტიკულაციით მიმართა „სიონის" ფანობას. ბოლნისელი ქომაგები კიდევ უფრო გახელდნენ და დაიწყო: „სიონის" ფანები ვილაცას დროშის ტარს ურტყამდნენ, შემდეგ VIP ლოჟისკენ დაიძრნენ, სადაც ფეხბურთის ფედერაციის, პროფლიგის და „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელები ისხდნენ, კიდევ ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი. მაგრამ ამ დროს ზედა იარუსიდან ბეტონის ნაჭრები დაუშინეს „სიონის" ქომაგებს, ერთი ნატეხი თავში მოხვდა ბოლნისელ ქომაგთაგანს, ხოლო ერთი გულშემატკივარი დაჭრეს და პლასტმასის რამდენიმე სკამი სისხლით შეიღება. თამაში დაახლოებით ათი წუთით შეწყდა. ბოლნისელ გულშემატკივრებთან „სიონის" ფეხბურთელები მივიდნენ და როგორც შეეძლოთ, ამშვიდებდნენ გაშმაგებულ ხალხს.

განახლდა მატჩი. ვიტელთაგან კვლავ გოჩაშვილი გავიდა გასატან პოზიციაზე, თუმც მახვილი კუთხიდან ლაბაძის კარის შორეულ კუთხეს ააცილა ბურთი.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „სიონი" გაცილებით უფრო ფხიანად და კარგად ათამაშდა. კუთხურიდან გათამაშებული ბურთი გაბისკირიამ ცაციათი დაუშინა დავით მამარდაშვილს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას" მეკარემ იმარჯვა. ცოტაც და გაბისკირიამ ოცდახუთიოდე მეტრიდანა შეასრულა საჯარიმო დარტყმა — „სიონის" კაპიტანმა ეშმაკურად, ძლიერად, ზუსტად დაარტყა, მაგრამ მამარდაშვილმა ურთულესი ბურთი კუთხურზე მოიგერია. ყველაფერმა ამან „სიონის" ფანობა გამოაცოცხლა და მინდორზეც კარგი თამაში გაჩაღდა. „ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელმა მერაბ კოჭლაშვილმა მეგოლე გოცირიძის ნაცვლად გამთამაშებელი გიორგი დეკანოსიძე შეუშვა მოედანზე — ბურთის მინდვრის ცენტრში დაჭერა და გაგორება იყო საჭირო, თორემ „სიონი" უკვე კარგად უჭერდა მარწუხებს მეტოქეს. შეცვლამ გაამართლა, გადაწყობილმა „ვიტ ჯორჯიამ" თამაში გაათანაბრა, კვლავაც ყოჩაღობდა გოჩაშვილი, ხოლო სწრაფი ოთარ მარცვალაძე მართლაც და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა „სიონის" დაცვას. „ვიტ ჯორჯიას" რამდენიმე სახიფათო კონტრიერიშს მალე გოლი მოჰყვა: ლაშა ნოზაძემ გოჩაშვილი გაიყვანა ლაბაძესთან პირისპირ და 2:0.

„სიონის" ფანობა გაშლეგდა, თამაშგარედან გაგვიტანეს გოლიო და დაახლოებით ასკაციანი დესანტი გადასხა მოედანზე — გაავებული ბოლნისელები მსაჯებს გამოუდგნენ. მსაჯთაგან თითქმის ყველას მოხვდა მუშტი თუ წიხლი, მაგრამ ყველაზე უფრო ჩიგოგიძე დაშავდა — ის ჯერ წააქციეს მერე კი წიხლებით შესდგნენ. უგუნურ გულშემატკივრებს პოლიციის გარდა „სიონის" ფეხბურთელებიც აკავებდნენ, მაგრამ ინციდენტი უკვე მომხდარი იყო.

„სიონის" მხარდამჭერებმა თავიანთი გუნდის მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძეც კი არ დაინდეს. პოლიცია და „სიონის"ფეხბურთელები უგუნურებს ვერ უმკლავდებოდნენ, პოლიციის მაშველი რაზმიც არა და არ ჩანდა. მსაჯებმა გასახდელისაკენ გააღწიეს, თუმც რამდენიმე მომჩივანი მათ იქაც შეჰყვა. მსაჯებს მათი კოლეგა არბიტრი ალექსანდრე შილაკაძე გამოექომაგა და სისხლი მასაც ადინეს.

მოკლედ, მატჩი კიდევ რამდენიმე წუთით შეწყდა. ტრიბუნიდან მოედნისკენ გასწიეს სპორტისა და კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა, პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ და კიდევ რამდენიმე მშვიდობისმოყოფელმა. თხუთმეტ-ოც წუთში შინაგანი ჯარის მაღალჩინოსნებიც გამოჩნდნენ პირადი დაცვით. პაუზა გაიწელა, მაგრამ სამშვიდობო მოლაპარაკებების შემდეგ მსაჯები მინდორზე მაინც გავიდნენ.

შეხვედრა სამი-ოთხი წუთის განახლებული იყო, როცა კრიჭაშვილმა სიონელი აქვსენტი გილაური დააჯარიმა, მაგრამ ამით უკმაყოფილო გილაურმა ბურთი ხელებში აილო და ფეხით დაარტყა არბიტრის მისამართით. გილაურმა მსაჯს ააცილა, მაგრამ მისგან წითელი ბარათი მიიღო. ჰოდა, „სიონის" რამდენიმე ქომაგი კვლავ გადავიდა არენაზე და მსაჯს გამოუდგა. თუმც შინაგანი ჯარის ჩინოსანთა პირადი დაცვით გაძლიერებულმა პოლიციამ ხულიგნები დააკავა. მალე ხელკეტ და ფარმომარჯვებული შინაგანი ჯარის ნაწილებმაც მოაღწიეს ეროვნულ სტადიონზე და სარბენ ბილიკზე გაიშალნენ.

ფეხბურთი უკვე აღარავის აინტერესებდა, პუბლიკა ბნელეთის სეირებმა შეიქცია, რამდენჯერმე შეწყვეტილი და განახლებული თამაშიც ჩამთავრდა — „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონ!

ასეთი იყო სოფლური ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის „ოქროს მატჩის" ქრონიკა.



გაგიკო კიკილაშვილის ფოტოები

ვლადიმერ გოჩაშვილის სახათაბალო გოლი



ბოლნისელებმა რევაზ გოცირიძის ჟესტი იუკადრისეს













## ნამატჩევს

*სკანდალური მატჩის მერე პრესკონფერენციაც უცნაური გამოვიდა: ჯერ ერთი და, საპრესკონფერენციო დარბაზში არ შემოსულა ბოლნისის „სიონის" თავკაცი თემურ მახარაძე, რომელმაც მოედანი მეორე გოლის გაშვებისთანავე დატოვა. ჩვენს კითხვებსაც მისმა თანაშემწემ, გიორგი ყიფშიძემ უპასუხა*

— მეორე გოლი თამაშგარედან გავუშვით და ამან საბოლოოდ გაგვტეხა. ვფიქრობ, წაგების მიზეზიც ეს არის.

**— მახარაძემ რატომ დატოვა მოედანი?**

— ალბათ, პროტესტი ასეთი ფორმით გამოხატა.

**— თქვენთვის არაფერი დაუბარებია?**

— არა.

**— სამწვრთნელო კარიერის დასრულებასაც ხომ არ აპირებს?**

— პირველად მესმის მსგავსი რამ. უკვე გითხარით, რომ მან მხოლოდ პროტესტი გამოხატა.

**— რას ან ვის გამოუცხადა მახარაძემ პროტესტი?**

— ალბათ, მსაჯებს.

**— თქვენი აზრით, მსაჯებმა დაგწვეს?**

— დიახ, ასე იყო. მეორე გოლი რომ არ ჩაეთვალათ, არაფერი არ მოხდებოდა.

**— კი მაგრამ, მანამდე „სიონის" გულშემატკივრებმა „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს აგინეს, რამაც გამოიწვია კიდეც ამხელა არეულობა...**

— ეს უკვე ვიტჯორჯიელების ბრალი იყო. გოცირიძეს და მის თანაგუნდელებს უფრო კორექტულად რომ აღენიშნათ გოლი, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ცალკე სალაპარაკოა „ვიტ ჯორჯიას" თავკაცის მერაბ კოჭლაშვილის მოულოდნელი და უსაფუძვლო პრეტენზიები. ზოგ კითხვაზე სრულიად გაუგებარი პასუხების მერე კოჭლაშვილმა ჟურნალისტებს ბრალი დაგვდო, სად იყავით აქამდე, მსაჯები ჩვენ რომ გვწვავდნენო. კოჭლაშვილის პრეტენზიები ჟურნალისტებისთვის ისეთივე გაუგებარი დარჩა, როგორც მისი პასუხები.

# დანაშაული და სასჯელი?

ეროვნულ სტადიონზე დატრიალებული უმსგავსობის ამბავი უმალ მოედო ქალაქს. ლოჟაში მოკალათებულ საფეხბურთო მოღვაწეებს და მთავრობის წევრებს შინაგანი ჯარების, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდმოხელეებიც შეუერთდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე *ირაკლი კლდიაშვილი* პროფლიგის პრეზიდენტისგან თამაშის გადადებას ითხოვდა, უკონტროლო ვითარება შეიქმნა და ექსცესების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გამოსავალიაო. კულტურისა და სპორტის მინისტრი *გიორგი გაბაშვილი* მომხდარით აღშფოთებას ვერ მალავდა:

— საქართველოში არაერთი პრინციპული და მნიშვნელოვანი მატჩი გამართულა, მაგრამ ასეთ ვანდალიზმს ალბათ ძნელად თუ ვინმე გაიხსენებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფასთან გვაქვს საქმე, ესე იგი, კრიმინალთან და დამნაშავენი აუცილებლად უნდა დაისაჯონ.

ბოლნისელთა გამგებელი *ზვიად ვეშაპიძე* კი მომხდარს სულ სხვაგვარად ხსნიდა:

— ჩვენი აზრი რომ შეესმინათ და თამაში თბილისის ნაცვლად ქუთაისში ან ბათუმში ჩატარებულიყო, მსგავსი ექსცესები არ მოხდებოდა. თანაც ბათუმში ოქროს მატჩის გამართვა პოლიტიკური თვალსაზრისითაც მომგებიანი იქნებოდა.

პროფლიგის პრეზიდენტი *დიმიტრი რამიშვილი* ლაკონიური იყო: მომხდარზე რეაგირება აუცილებლად იქნება და დამნაშავენი დაისჯებიან.

ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი *რომან შოთაძე*: როგორც ჩანს, საქართველოში ევროპიდან ყველაზე ცუდ მაგალითებს იღებენ და ხულიგნობა და ვანდალიზმი ჩვენშიც მკვიდრდება. ამიტომაც სამართალდამცავებმა თუ მატჩის ორგანიზატორებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ. დაუშვებელია, ფეხბურთზე გულმობრუნებული გულშემატკივარი ასეთი ფაქტების გამო გაგვექცეს. სხვა მხრივ, „ვიტ ჯორჯიას" ვულოცავ ღირსეულ ჩემპიონობას, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ჩემპიონს მეტოქეც ღირსეული ჰყავდა.

ვიტჯორჯიელები კი ჩემპიონობას ზეიმობდნენ...

*ლაშა ნოზაძე*: ემოციებისგან აბსოლუტურად დაცლილი ვარ. ამ ტიტულით ასე თუ გავიხარებდი, არც მეგონა. კარგი იქნებოდა, თამაში ამ უაზრო ინციდენტების გამო არ გაფუჭებულიყო. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ჩვენ ღირსეულად მოვიგეთ და მეტოქეს ბევრ კომპონენტში ვაჯობეთ.

*გიორგი დეკანოსიძე*: ასეთი ბედნიერი და გახარებული ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, როდესაც ბავშვი შემეძინა. ეს იყო ნერვების თამაში, რომელსაც მთელი ძალები შევალიეთ. ახლა ის ვიცი, რომ ორკვირიანი შვებულება გვაქვს და დამღლელი სეზონის შემდეგ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ვიქნები. დიდი მადლობა ყველა თბილისელ გულშემატკივარს, დღევანდელ პროვოკაციაში რომ არ ჩაერივნენ.

*ვლადიმერ გოჩაშვილი*: ძალიან სამწუხაროა, რომ ამხელა სიხარული ჩაგვშხამდა. წაგებაც ხომ ღირსეულად უნდა იცოდნენ?! თამაშგარე ნაღდად არ ყოფილა, იქით ფლანგზე ერთ-ერთი ბოლნისელი ფეხბურთელი იყო ჩარჩენილი. თანაც არა მგონია, მატჩის მსვლელობისას ვინმეს ჩვენს უპირატესობაში ეჭვი შეპარვოდეს.

*რევაზ გოცირიძე*: ბედნიერი ვარ, რომ საჩემპიონო მატჩში გოლი გავიტანე და ბომბარდირთა დავაში დავითაშვილსაც დავეწიე. თუმცა ბომბარდირობა რაღა მოსატანია?! რაც მთავარია, ჩემპიონები გავხდით. ძალიან დაძაბული სეზონი გვქონდა და ახლა დასვენებაც დამსახურებული მექნება.

*გიორგი ადამია*: მართალია, ჩემპიონები გავხდით და უაღრესად ბედნიერი ვარ, მაგრამ ახლა უფრო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებზე ვფიქრობ. ცოტას დავისვენებთ და 19 ივნისიდან ალბათ გერმანიაში გავემგზავრებით შეკრებაზე.

ბოლნისელი ფეხბურთელები კი მომხდარზე უფრო თავიანთი მწვრთნელის საქციელმა გააკვირვა. თემურ მახარაძემ გუნდი თამაშის შეწყვეტისას მიატოვა. ზოგი მოთამაშის აზრით, მწვრთნელმა გუნდი ზედმეტად ფრთხილი და დაცვითი ტაქტიკით ათამაშა. „სიონის" სიმბოლო *იური გაბისკირიამ* კი ეს გვითხრა:

— მეც იმ აზრზე ვიყავი, რომ თამაში თბილისის გარდა საქართველოს სხვა ნებისმიერ ქალაქში ჩატარებულიყო, ამ შემთხვევაში მსგავს ექსცესებს ავიცილებდით. „ვიტ ჯორჯიას" კი დამსახურებულ ჩემპიონობას ვულოცავ.

**დავით ერაძე**

**მეთხუთმეტე** ეროვნული ჩემპიონატის მეოთხედფინალისანი „თბილისი" ინტერტოტოს თასზე თამაშზე უარს არ იტყვის — კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო და შესაბამის დოკუმენტაციას მალე უეფაში გააგზავნის.

ერთი სიტყვით, „თბილისი" დამდეგ სეზონს ადრიანად დაიწყებს — ინტერტოტოს თასის პირველი რაუნდი 19-20 ივნისს დაიწყება.

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · მეორე 15 ეტაპი · პლეი ოფი · 29 მაისი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# კილასონია მოვიდა, რუსთავი გადმოვიდა

თბილისი. 29 მაისი. 17.30 საათი. ისანი. 3 000 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 2:3 დ.დ.(2:2) რუსთავი

0:1 ბარბაქაძე (23), 0:2 ფეიქრიშვილი (32), 1:2 კიკალიშვილი (79), 2:2 ფურთუხია (87), 2:3 ვ. ჩხაიძე (98)

| | |
|---|---|
| მცხეთა: ცინაძე, მგელაძე (ბესარაშვილი 46), ჩაჩუა, ძაგნიძე, გვარუციძე, რაქვიაშვილი, ჯაფარიძე, ლ. ჩხაიძე, ლ. ქებაძე, გ. თოდუა, პარამონოვი (კიკალიშვილი 30) *სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; სეთურიძე, პ. ნოზაძე, ბ. ნოზაძე მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე | რუსთავი: ბობლიაშვილი, არსოშვილი, ზაზაშვილი, გ. კილასონია, ზვ. ლაბაძე, კაპანაძე (ვ. ჩხაიძე 74), ნ. ლაბაძე, მიქავა, ფეიქრიშვილი (ზ. ლაბაძე 67), ჯელაძე (გ. მიქაძე 61), ბარბაქაძე *სათადარიგონი:* ჯანიაშვილი; ლ. ალადაშვილი, დემეტრაძე, ნინუა მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |

გაფრთხილება: ჯელაძე (3), ბობლიაშვილი (35)

გაძევება: ბესარაშვილი (100), ზაზაშვილი (100)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი



რუსთაველთა მოგებაში დიდი წილი გიორგი ფეიქრიშვილმა (№14) დაიდო

პაატა კვანტალიანი

**ნამატჩევს** ემოციებისგან დაცლილი მწვრთნელ-ფეხბურთელები გულშემატკივართა თხოვნით თბილისიდან პირდაპირ რუსთავის სტადიონზე მივიდნენ. „ფოლადის“ სავსე ტრიბუნები დიდხანს უკრავდა ტაშს ვარლამ კილასონიასა და მის გუნდს. რუსთავმა ლამაზად აღნიშნა თავისი გუნდის დაბრუნება უმაღლეს ლიგაში.

არადა, „რუსთავის“ საუმაღლესლიგო პერსპექტივა ეჭვს ნამდვილად იწვევდა.

პირველ ლიგაში დასარჩენად მებრძოლ უსახსრო გუნდს მატჩიდან მატჩამდე თავდაჯერება შემატა ვარლამ კილასონიამ. მერე ჟინიც გაჩნდა, მონდომებაც და შედეგიც მოვიდა — ერთწლიანი შესვენების შემდეგ „რუსთავმა“ უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, თანაც სწორედ იმ გუნდთან ჭიდილში, რომელმაც შარშან დააკარგვინა ადგილი უმაღლესში.

თამაში მცხეთელთა უპირატესობით დაიწყო და პირველ ოც წუთში ჯერაც უმაღლესლიგელებს სამჯერ ასპროცენტიანი საგოლე მომენტიც შეექმნათ. მაგრამ სამივეჯერ ივარგა რუსთაველთა მეკარემ, 21 წლის მინდია ბობლიაშვილმა, ვინც სიცხიანი თამაშობდა. ამ დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „მცხეთა“ იოლად გაუსწორდებოდა მეტოქეს, მაგრამ კილასონიას გუნდმა მძიმე წუთებს გაუძლო და შესატევად გადაეწყო. რუსთაველები ზედმეტ მოძრაობასაც კი არ აკეთებდნენ — ორი-სამი ზუსტი პასით გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე. პირველივე ასეთი გადასვლა ბარბაქაძის ლამაზი გოლით დასრულდა. მოედნის ცენტრიდან მიქავამ ფლანგზე გაუცურა ბურთი ჯელაძეს, ამან უმალვე ჩააწოდა საჯარიმოში, იქ კი ბარბაქაძემ გაწოლილი თავურით ხეირი ნახა. გოლის მერე „რუსთავი“ უფრო დალაგდა, „მცხეთა“ კი აშკარად დაფრთხა. ხარისხიან მოედანს მიუჩვეველმა რუსთაველებმა მეორე გოლამდე ეფექტურად აგორეს ბურთი. მათ იერიშებს მონაცვლეობით უძღვებოდნენ მიქავა და ფეიქრიშვილი და სწორედ ამ ორის შეთანხმებული მოქმედებით გავიდა მეორე გოლი. მიქავას პასისას ფეიქრიშვილმა ორი მეურვე ჩამოიშორა და შორეულ კუთხეში დაურტყა ცინაძეს — 2:0 და საქმე ბევრმა მომთავრებულად ჩათვალა, თუმც ვარლამ კილასონიამ განუწყვეტელი მითითებებით მოდუნების საშუალება მოუსპო თავის გუნდს და ტაიმის დარჩენილ მონაკვეთში რუსთაველებს მინიმუმ ორი გოლი კიდევ უნდა გაეტანათ.

მეორე ნახევარიც რუსთაველთა უპირატესობით დაიწყო. „მცხეთას“, ფაქტობრივად, შანსი არ ჰქონდა გია კილასონიას მიერ შეკრული დაცვითი ჯებირის გასანგრევად. ნახევარდაცვაში კი დიდ სამუშაოს ასრულებდა ფეიქრიშვილ-მიქავას დუეტი. მოკლედ, „რუსთავს“ უპრობლემოდ მიჰყავდა მატჩი სასურველი შედეგისკენ, მაგრამ 67-ე წუთზე ფეიქრიშვილი დაშავდა და შესაცვლელი გახდა. მისი გასვლით კი „რუსთავს“ ნაპრალი გაუჩნდა ფლანგზე, „მცხეთამაც“ ძალა მოიკრიბა და საჯარიმოს მიაჯაჭვა მეტოქე.

გაუჭირდათ რუსთაველებს, მაგრამ 79-ე წუთზე ერთი კონტრშეტევა მაინც გაახერხეს. ბარბაქაძემ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, მაგრამ იქ ერთ-ერთმა მცხეთელმა ხელით ითამაშა. შილაკაძის სასტვენი დუმდა, „მცხეთამ“ კი სწრაფად წაიღო ბურთი რუსთაველთა ნახევარზე და თოდუამ, რომელიც საუკეთესო იყო თავისიანებში, კიკალიშვილს გაატანინა. საგოლე თავურამდე კიკალიშვილმა კილასონიას ხელი ჰკრა და ჯარიმის მომლოდინე ხელებაწეული ბობლიაშვილი არც განძრეულა. მაგრამ გოლი ჩაითვალა და ტრიბუნაზეც და მოედანზეც უკიდურესად დაიძაბა ვითარება.

გოლით გულგატეხილ რუსთაველებს დაღლაც დაეტყოთ. „მცხეთა“ კი ჟინიანად უტევდა და ძირითადი დროის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ფურთუხიამ შორეული, ეფექტური დარტყმით ხარიხის გავლით კარში შეჭედა ბურთი.

დამატებითი დრო და თითქმის გარკვეული გამარჯვებული... ყურებჩამოყრილი, დაღლილი რუსთაველები და მატჩის სასწაულებრივ შემტრიალებელი, გულმოცემული მცხეთელები... ამ დროს ათასამდე რუსთაველ ქომაგთაგან თითო-ოროლას თუ სჯეროდა თავისიანთა წარმატების, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა ვარლამ კილასონია და პენალტების იმედად ანგარიშის დაჭერის ნაცვლად შეტევაზე გადააწყო გუნდი, ეს კი დიდად მოულოდნელი აღმოჩნდა მცხეთელთათვის.

დამატებითი ტაიმის მეორე წუთი იყო, ორი მეურვის მომტყუებელი ბარბაქაძე მესამემ საჯარიმოში რომ წააქცია... ლამის დაინგრა „ისანი“ — შილაკაძის სასტვენი ისევ დუმდა... მერე კი ვლადიმერ ჩხაიძის 25 მეტრიდან ყუმბარისებური გასროლილი იყო და ცინაძეს დაფარულ კუთხეში გაუძვრა ბურთი. დამატებული ტაიმის ბოლო წუთზე კი „მცხეთას“ კიდევ ერთხელ შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ბობლიაშვილთან პირისპირ გასულ თოდუას მცირედ უმტყუნა მიზანმა.

მერე კი რუსთაველები დიდხანს ზეიმობდნენ უმაღლესში დაბრუნებას ავლაბრულ მწვანეზე.



ვარლამ კილასონიას სიხარულის მეცხრე ცა



რუსთაველთა სიხარული: ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამს

# ჩელებაძე კარგ ფეხზეა

ქუთაისი. 29 მაისი. 17.30 საათი. ტორპედო. 400 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 1:0 მილანი

1:0 ფირცხალაიშვილი (47)

| | |
|---|---|
| ბათუმი: ი. ბალაძე, მახარაძე, ბეჟ. თედორაძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, გალოგრე, ქაცარავა, გვიანიძე, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი (ბესო თედორაძე 74), სირბილაძე (ფურცხვანიძე 53) *სათადარიგონი:* ქვაჩახია; რომანაძე, ბეჟანიძე, იალამიდი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | მილანი: ნაყოფია, გიორგაძე, გვაზავა, კუპრაშვილი (სუხიშვილი 80), მეტონიძე, დ. ქირია, გ. ქირია (მჭედლიშვილი 40), გობეჯიშვილი, იოსავა (ტეტიაშვილი 74), ტორონჯაძე, ბაკარანძე *სათადარიგონი:* ვარამაშვილი, ნარიმანიძე, ბოჭორიშვილი მწვრთნელი: ლერი ბაკაშვილი |

გაფრთხილება: ნაყოფია (47), გუშარაშვილი (86)

გაძევება: სუხიშვილი (90), ბესო თედორაძე (90)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ა. შალამბერიძე (სამივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. სორდია

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

**12-წლიანი** შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგაში ორი აჭარული გუნდი ითამაშებს: პირველი ლიგის გამარჯვებულ „ქობულეთს“ შაბათს „ბათუმიც“ შეუერთდა, რომელმაც ქვედალიგის მესამეადგილოსანი „მილანი“ ფირცხალაიშვილის ეული გოლით დაამარცხა.

შეხვედრა სწრაფ ტემპში და რეალური საგოლე მომენტებით დაიწყო. მე-2 წუთზევე მარჯვენაფლანგელი გვიანიძე საჯარიმოში შეიჭრა და ფირცხალაიშვილი მოძებნა, რომლის ოთხი მეტრიდან დარტყმულს ძალა დააკლდა და ბურთი ნაყოფიას ნადავლი შეიქნა. ერთი წუთის შემდეგ საკამათო ეპიზოდი ზღვისპირელთა კართან შეიქმნა. იოსავამ საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი მცველს შეეხო, ბალაძის კარის ძელს მოხვდა. ძირს დავარდა და მოედანზე დაბრუნდა. „მილანელები“ გოლის ჩათვლას მოითხოვდნენ, თუმცა თანამსაჯმა რუსიშვილმა სხვაგვარად განსაჯა. ამის შემდეგ უპირატესობა ბათუმელთა მხარეს გადავიდა და მანჩხავას პასით დარჩიძეს უნდა გაეტანა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. ისევე, როგორც ფირცხალაიშვილმა, რომელმაც ყველაფერი კარგად გააკეთა საბოლოო დარტყმის გარდა. დაიწყო მეორე ტაიმი და ფირცხალაიშვილმა დარჩიძის გადაწოდებული ბურთი ნაყოფიას შორეულ კუთხეში გაუტანა. გოლმა ორივე გუნდი დააწყნარა, მაგრამ ბათუმელთაგან თუ ეს მოსალოდნელი იყო, კახელებისგან გასაკვირად დარჩა: მათ ხომ აუცილებლად უნდა შეეტიათ. „მილანი“ მხოლოდ ბოლო ხუთ წუთში გააქტიურდა. ჯერ მეტონიძემ დაარტყა სახიფათო ჯარიმა, რომელიც ბალაძემ კუთხურზე მოიგერია, 87-ე წუთზე კი მჭედლიშვილს შეეძლო გატანა, თუმცა მცველს მოარტყა და კარში მიმავალი ბურთი კუთხურზე გადავარდა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი სუხიშვილი და ბესიკ თედორაძე წაკინკლავდნენ და ორდინიძემ ორივეს წითელი ბარათი ამოუღო.

მატჩის შემდეგ ბათუმელთა ახალ არჩეულმა პრეზიდენტმა რევაზ ჩელებაძემ თქვა, რომ გუნდი ახალი სეზონისთვის საგრძნობლად გაძლიერდება და ეცდება, მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საუკეთესო

## ალექსანდრე იაშვილი: ჩემი სიცოცხლე

შაბათს „სარბიელმა“ თავის ტრადიციულ გამოკითხვაში გამარჯვებულნი, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი დავით კვირკველია და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი კაფე „მსოფლიო სპორტში“ სპორტულ ჟურნალისტთა მთელი ამქრისა და სხვა სტუმართა თვალწინ დააჯილდოვა. იყო სიხარული, ბევრი ღიმილი, თბილი სიტყვა, სეზონის ტკბილ-მწარე მოგონებანი, იყო პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრიზიც, რომელიც მისმა პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა დავით კვირკველიას გადასცა... იყო ტრადიციული ფურშეტიც, საუკეთესოთა დღეგრძელობა...

რა თქმა უნდა, იყო საუკეთესო ფეხბურთელის ალექსანდრე იაშვილის სამადლობელი და... არის ეს ბლიც-ინტერვიუც...

— შარშანდელი 11 ოქტომბერი, მოსკოვი, რუსებთან საქართველოს ნაკრების თამაში და შენი გოლი გაიხსენე. შეძლებ იმ გრძნობის გადმოცემას, რაც გოლის შემდეგ გქონდა?

— სიტყვებით ვერ შევძლებ იმ ემოციის გადმოცემას. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი. ნამატჩევს ლევან კობიაშვილმა მითხრა, ცხოვრებაში ისე არაფერი გამხარებია, როგორც შენი გოლიო. ეს იყო რაღაც სასწაული, რასაც ენა ვერ იტყვის. და საერთოდ, მიმაჩნია, რომ მოსკოვში რუსეთთან მატჩის პირველი ტაიმი საქართველოს ნაკრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო, თუ საუკეთესო არა. დღესდღეობით რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელმა მოსტოვოიმ მატჩისას რამდენჯერმე გაოცებულმა მითხრა, რას გვიშვრებით, ბურთი დაგვანახეთ, თერთმეტი თამაშობთ თუ მეტიო. მიუხედავად იმისა, რომ ის ტაიმი 1:2 წავაგეთ, ვთვლი, რომ საქართველომ ძალიან მაგრად ითამაშა.

— ალექსანდრე იაშვილის საყვარელი გუნდი რომელია?

— რა თქმა უნდა, თბილისის „დინამო“ და „ფრაიბურგი“, სადაც უკვე შვიდი წელია, ვთამაშობ. ისე კი, მადრიდის „ რეალს“ ვქომაგობ.

— საყვარელი სათამაშო ნომერი?

— ცხრიანი.

— ფეხბურთელი?

— რონალდო.

— ფერი?

— ზღვა მიყვარს ძალიან. ფერიც ზღვისფერი მიყვარს.

— საყვარელი კერძი?

— ჭამისას პრეტენზიული არ ვარ. ყველაფერი მიყვარს. განსაკუთრებით მიყვარს დედაჩემის გაკეთებული ნამცხვარი „სენატორი“.

— საყვარელი სასმელი? გერმანიაში ალბათ ლუდს სვამ.

— არა. ალკოჰოლურს არაფერს ვსვამ. მიყვარს ვაშლის გაზიანი წვენი. ფრაიბურგში ახალჩასული ვიყავი, როცა ეს წვენი გამასინჯეს, პირველად ლამის ცუდად გავხდი, მაგრამ მერე ძალიან შემიყვარდა.

— საყვარელი მანქანა?

— „მერსედესი“, თუმც თბილისში ისეთი მოძრაობაა, საჭესთან ჯდომას ვერიდები. ის მანქანაც ფრაიბურგში მყავს.

— რა ფერის „მერსედესი“ გყავს?

— შავი.

— ფეხბურთის გარდა სპორტის რომელი სახეობა გიყვარს?

— ჩოგბურთი და კალათბურთი.

— ფილმები გიყვარს ძალიან...

— განსაკუთრებით „ნათლიმამა“ და „ქალის სურნელი“.

— ალბათ ალ პაჩინოც გიყვარს...

— ალ პაჩინო და დენირო

— რომელი ფირმის სამოსს იცმევ?

— „დოლჩე და გაბანას“.

— საყვარელი ქალაქი?

— თბილისი და ფრაიბურგი.

— მათ გარდა?

— შვებულებას ხშირად საფრანგეთში, ნიცაში ან სენტროპეში ვატარებ. ზღვა და ზაფხული ძალიან მიყვარს. მიყვარს ხმელთაშუა ზღვა.

— თილისმა რა გაქვს?

— საქორწინო ბეჭედი. თითიდან არ ვიშორებ.

— რომელი ფრაზა გაქვს აკვიატებული?

— რაც მამა გავხდი, მას შემდეგ — ჩემი სიცოცხლე. შვილის დაბადებაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

**კობა ინასარიძე**



ალექსანდრე იაშვილი და მისი მეუღლე ანა „სარბიელის“ პრიზით





ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი სარბიელმა კობა ინასარიძემ დააჯილდოვა, ჩემპიონატის რჩეული კი დავით თავართქილაძემ



იაშვილს იაშვილისა გაუხარდა






ნიკო ლეკიშვილი და საუკეთესო ფეხბურთელის ბაბუა ალექსანდრე ტატიშვილი



ბადრი ქათიაშვილის ფოტოები



REUTERS ბერლინიდან

აილტონმა თასის ფინალში მოოქროვილი ბუცებით ითამაშა

# ვერდერმა სეზონში ტყუპი გააგორა

## გერმანია

### თასის ფინალი

**ვერდერი 3:2 ალემანია**

1:0 ბოროვსკი (31), 2:0 კლასნიჩი (45), 2:1 ბლანკი (51), 3:1 ბოროვსკი (84), 3:2 მეიერი (90)

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, კ. შულცი (სკრიპნიკი 90), ბოროვსკი (ხარისტიასი 88), მიკუ, ფ. ერნსტი, აილტონი, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 88)

ალემანია: შტრაუბი, ბლანკი, კლიცპერა, ლანგრაფი (ფილი 73), ბრინკმანი (ვან დერ ლუერი 83), გრლიჩი, პფლიპსენი (დ. გომესი 79), პაულუსი, მბვანდო, სალუ, მეიერი

გაძევება: მბვანდო (75)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი

71 682 მაყურებელი

ბრემენის „ვერდერმა" ისტორიაში პირველი დუბლი გაახერხა — ბუნდესლიგაც მოიგო და ქვეყნის თასიც.

ფინალურ მატჩში ორი გოლი ბრემენელმა ტიმ ბოროვსკიმ გაიტანა და „მუსიკოსებს" ჯილდო ჩაახუტა.

ბოროვსკიმ ანგარიში 31-ე წუთზე ფაბიან ერნსტის პასით გახსნა — ათიოდ მეტრიდან შტრაუბს აულებელი დაურტყა.

ხორვატმა ივან კლასნიჩმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მეორე შეაგდო, მაგრამ შესვენების შემდეგ „ვერდერის" ყოფილმა მოთამაშემ, შტეფან ბლანკმა ზუსტი თავურით სხვაობა შეამცირა.

ამ მომენტიდან ოც წუთში „ალემანიას" ნახევარმცველი მბვანდო უხეშობისთვის გააძევეს, რასაც შტრაუბის კარში მესამე გოლი მოჰყვა, ხოლო ერიკ მეიერმა დამატებულ წუთებზე „ვერდერი" კიდევ ერთხელ აზეირა.

„ვერდერამდე" დუბლი მხოლოდ ორ გუნდს შეუსრულებია. მიუნხენის „ბაიერნმა" ოთხჯერ მოიგო ბუნდესლიგა და თასი ერთად, ხოლო გელზენკირხენის „შალკემ" — ერთხელ.

ბრემენელი „მუსიკოსები" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, ხოლო „ალემანიას" უეფას თასის საგზური ერგო. აღსანიშნავია, რომ „ალემანია" მესამედ იყო თასის ფინალში და სამჯერვე დამარცხდა.

„ძალიან მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ — თქვა თომას შააფმა — 2:0-ის შემდეგ ვითარებას თითქოს ვაკონტროლებდით, მაგრამ მეტოქეს უტეხი სული აღმოაჩნდა და იოლად არ დაგვნებდა".

„მეორე ტაიმში გემრიელი ფეხბურთი ვიხილეთ" — აღნიშნა დამარცხებულთა მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XXXIII ტური

ქემნიცი — შალკე (მ) 0:6; დინამო — ნოიმიუნსტერი 1:0; ჰამბურგი (მ) — კიოლნი (მ) 2:0; კილი — ლაიპციგი 3:1; პადერბორნი — მიუნსტერი 2:2; ესენი — დორტმუნდი (მ) 3:1; ზანკტ პაული — იურდინგენი 1:1; ვატენშაიდი — ბრაუნშვაიგი 0:2; ვუპერტალი — ვერდერი (მ) 1:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XXXIII ტური

აუგსბურგი — ოფენბახი 1:2; ელვერსბერგი — ეშბორნი 3:0; ჰოფენჰაიმი — კაიზერსლაუტერნი (მ) 3:2; მაინცი (მ) — ბაიერნი (მ) 0:3; ერფურტი — ზაარბრიუკენი 2:1; პფულენდორფი — კიკერსი 3:2; შვაინფურტი — ფოიხტი 2:5; შტუტგარტი (მ) — ზიგენი 0:0; ვეჰენი — აალენი 1:3

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XIII ტური

უოტერფორდი — კორკ სიტი 1:1; შელბურნი — ბოჰემიანსი 0:0; სენტ პატრიკსი — დუბლინი 3:1; დერი სიტი — დროჰედა 0:2; ლონგფორდი — შემროკი 1:0

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. პლეი ოფი

**ძსამაძსი 2:0 ვადუცი**

1:0 ფორშელე (28), 2:0 რეი (50)

## აშშ

### MLS. IX ტური

კოლამბუსი — სან ხოსე 1:0; ნიუ ინგლენდი — ვაშინგტონი 0:1; ჩიკაგო — კოლორადო 1:0; ლოს ანჯელესი — დალასი 4:1; ნიუ იორკი — კანზასი წუხელ გვიან დამთავრდა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ოკეანეთი

### II საკვალიფიკაციო ჯგუფი

**სოლომონის კ-ები 1:0 ვანუატუ**

1:0 სური (51З)

**ტაიტი 0:0 ფიჯი**

**ავსტრალია 1:0 ახალი ზელანდია**

1:0 ბრეშიანო (40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სოლომონის კ-ები | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფიჯი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტაიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ვანუატუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### II ტური: დღეს

ახალი ზელანდია — სოლომონის კ-ები; ავსტრალია — ტაიტი; ვანუატუ — ფიჯი

# პარიზს თასი ბოსნიელმა დაუბრუნა

## საფრანგეთი

### თასის ფინალი

**პსჟ 1:0 შატორუ**

1:0 პაულეტა (65)

პედრუ პაულეტას გოლით პსჟ-მ საფრანგეთის თასი მოიგო. პარიზელებმა ფინალში მეორედივიზიონელი „შატორუ" დაამარცხეს.

დედაქალაქის გუნდში შარშან გადასული ბოსნიელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩისთვის ეს პირველი ჯილდოა. ასევე პირველია პსჟ-სთვის 1998 წლის შემდეგ, როცა გუნდმა საფრანგეთისა და ლიგის თასი წყვილად აღმართა.

პარიზელებმა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, ხოლო „შატორუს" უეფას თასზე გამსვლელი საგზური ერგო.

პაულეტამ მეორე ტაიმის დაწყებიდან ოც წუთში მოხდენილი თავური დარტყმით შეაგდო გოლი.

„პსჟ ჯილდოს ექვსი წელი ელოდა და ლოდინი დაგვიფასდა" — თქვა დედაქალაქელთა კაპიტანმა ფრედერიკ დეუმ, რომელიც მომავალ სეზონიდან „მარსელში" ითამაშებს. პარიზელებს „მარსელი" გულზე არ ეხატებათ და დეუც სტვენით არაერთხელ შეამკეს.

„ეს საშინელებაა, გვეგონა, რომ ფანები ჩვენ გვიჭერდნენ მხარს, მაგრამ დეუს უსტვინეს. არადა, ფრედი ჯენტლმენია და მსგავს მოქცევას არ იმსახურებს" — განაცხადა ფაბრის ფიორეზემ.

„ბიჭებმა თავი დადეს თასის მოსაგებად" — აღნიშნა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა, ბოლოს კი იმასაც მოგახსენებთ, რომ „შატორუს" მორაგბეთა მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი თავკაცობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა საფრანგეთის თასი და ჟაკ შირაკის ტაში დაიმსახურა. გამარჯვების გოლი კი პედრუ პაულეტამ შეაგდო





REUTERS პარიზიდან

# ჩეჩნები უეფას თასზე

## რუსეთი

### თასის ფინალი

**კრილია 0:1 ტერეკი**

0:1 ფედკოვი (90)

გროზნოს „ტერეკმა" არსებობის ისტორიაში რუსეთის თასი პირველად მოიგო. მოსკოვში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ მატჩში ჩეჩენთა გუნდმა „კრილია სოვეტოვი" დაამარცხა და მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს.

სამარელები და გროზნოელები თასის ფინალში არასოდეს გასულიყვნენ. „ტერეკს" გამარჯვება ბოლო წუთზე ფედკოვის გატანილმა გოლმა მოუტანა.

საკმაოდ მოსაწყენი თამაში იყო, ჩეჩნებს შეიდიათასამდე ქომაგი ჩაჰყვა და, კლუბის გენერალური დირექტორ ლომალი იბრაგიმოვის თქმით, მის გუნდს თვით ვლადიმერ პუტინი გულშემატკივრობდა. ცხადია, ამ ფინალს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა. „ჩვენ ნორმალური ხალხი ვართ. გვსურს, რომ სპორტის გავლით რუსეთის ფედერაციის სივრცეში დავმკვიდრდეთ. თასი თუ მოვიგეთ, სამ დღეში ჩეჩნეთში ვითარება რადიკალურად სიკეთისკენ შეიცვლება".

ანდრეი ფედკოვმა გოლი 9 მაისს ტერორისტული აქტის შედეგად გარდაცვლილ ჩეჩნეთის პრეზიდენტ აჰმედ კადიროვის ხსოვნას მიუძღვნა. მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილმა ფორვარდმა წინ გამოსულ პოლიაკოვს ბურთი თავს ზემოთ გადაავლო და კარში ჩაუშვა.

აღსანიშნავია, რომ გროზნოს „ტერეკში" მხოლოდ ორი ჩეჩენი ფეხბურთელი თამაშობს.

**ვაჟა ხუციშვილი**



რუსეთის თასს ხელი აჰმედ კადიროვის ვაჟმაც შეავლო

REUTERS მოსკოვიდან



# სამი A და სამიც ვერა

## იტალია

**სერია B. XLIV ტური**

**ასკოლი 2:1 მესინა**
1:0 ლა ვისტა (10), 1:1 სოსა (42), 2:1 სპერანცა (79)

**ატალანტა 2:0 აველინო**
1:0 მონტოლივო (18), 2:0 გაუტიერი (78)

**კალიარი 3:1 სალერნიტანა**
0:1 ნომვეტე (38), 1:1 სუაცო (55), 2:1 ესპოზიტო (64), 3:1 სუაცო (71)

**კატანია 1:1 ფიორენტინა**
1:0 ბერეტონი (24), 1:1 რიგანო (74)

**კომო 1:3 ჯენოა**
0:1 კორდონე (28), 1:1 რასტელი (40), 1:2 ფოლიო (53), 1:3 მილიტო (62)

**ნაპოლი 0:0 ბარი**

**პალერმო 3:1 ტრიესტინა**
1:0, 2:0 ტონი (31, 41), 2:1 მანტოვანი (62), 3:1 ფილიპინი (83)

**პესკარა 4:3 ალბინოლეფე**
1:0 სტელა (4), 1:1 პოსანცინი (5), 2:1, 3:1 კალაიო (7, 10), 3:2 სონცონი (35), 3:3 ტესტინი (54), 4:3 კალაიო (58პ)

**პიაჩენცა 1:3 ლივორნო**
0:1 რუოტოლო (49), 0:2 მელარა (55), 0:3 ლუკარელი (89), 1:3 ბეგეტო (90)

**ტორინო 2:1 ტრევიზო**
0:1 დაგოსტინო (9), 1:1 კონტიკიო (16), 2:1 ფაბრინი (25)

**ვენეცია 0:2 ვერონა**
0:1 ადაილტონი (29), 0:2 მიპალჩია (83)

**ვიჩენცა 1:2 ტრიესტინა**
0:1 ესპოზიტო (43), 0:2 ნიკოლა (56), 1:2 რანტიერი (88)



ბოლო 31 წელიწადში პირველად „პალერმო“ სერია A-ში დაბრუნდა. 44-ე ტურში სიცილიელებმა „ტრიესტინას“ უმასპინძლეს, 3:1 მოიგეს და თავზეც ელიტარული ქუდი მოირგეს. აღსანიშნავია, რომ ტრიესტელთა კარში სამიდან ორი გოლი ლუკა ტონიმ გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას სერია B-ს საუკეთესო ბომბარდირობას წესით ველარავინ შეეცილება. ტონიმ პირველი გოლი მოხერხებული ინდივიდუალური სვლით, ხოლო მეორე თავურით გაიტანა.

მეორე ტაიმში „ტრიესტინამ“ მანტოვანის თავურის წყალობით სხვაობა შეამცირა, მაგრამ თამაშის მიწურულს იანვარში შეძენილმა ემანუელე ფილიპინიმ ლაზათიანი დარტყმით „სტადიო ბარბერა“ სიხარულით მეცხრე ცას სწია.

სერია A-შია „ლივორნოც“, რომელმაც არც მეტი, არც ნაკლები, იმავე სერიაში ასვლის კიდევ ერთ მსურველს და ამ საქმისთვის მებრძოლ „პიაჩენცას“ პიაჩენცაში აჯობა. ეს ორი გუნდი მოედანზე ძალიან განსხვავებული განწყობით გავიდა — „ლივორნო“ დიდებულ ფორმაშია, ხოლო ჯიჯი კანის ქვეშევრდომები ბოლო ორ ტურში დამარცხებულები სტოვებდნენ მინდორს.

პირველი ტაიმი მძიმე გახლდათ, შესვენების შემდეგ კი ტოსკანიელებმა ანგარიში მალევე გახსნეს. ეს ვეტერანმა ჯენარო რუოტოლომ შეძლო, რასაც კიდევ ერთმა მცველმა, მელარამ მეორე გოლი მიაყოლა, ხოლო ცნობილმა კრისტიანო ლუკარელიმ თამაშის მიწურულს ზედ მესამეც მიაყოლა, რაზეც მასპინძლებმა მსაჯის წამატებულ წუთებზე მხოლოდ ერთი, გულისმოსაფხანი გოლით გასცეს პასუხი. ეს პენალტით რიგანომ მოახერხა.

და კიდევ ერთი, ვინც უკვე სერია A-შია, გახლავთ სარდინიული „კალიარი“, ცნობილზე ცნობილი ჯანფრანკო ძოლას გუნდი. „კალიარიმ“ შინ 3:1 დაამარცხა „სალერნიტანა“, მაგრამ ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს. თამაში ძალიან დაძაბული გახლდათ და ანგარიშიც სალერნიტელებმა გახსნეს. ეს სამხრეთაფრიკელმა სიაბონგა ნომვეტემ შეასრულა და შესვენებამდე დააწნა კიდეც მოწინააღმდეგე, მაგრამ შესვენების შემდეგ ძოლამ რამდენიმე სოლო გარღვევით გამოაფხიზლა თავისიანები და ამ გამოფხიზლებამ შედეგი მოიტანა — სარდინიელებმა სამი გოლი გაიტანეს.

აი, მეოთხე ადგილზე მყოფ კიდევ ერთ სიცილიურ გუნდს, „მესინას“ კი ჰქონდა შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა, ასკოლიში 1:2 წააგო და შესაძლო ზეიმი ერთი კვირით გადასდო.

მეხუთეზე მოდის ბერგამოს „ატალანტა“. მან შინ აჯობა „აველინოს“ 2:0, რომელიც, ფაქტობრივად, გავარდნილია, ხოლო „ფიორენტინა“ კატანიაში „კატანიას“ დაუზავდა და ისევ მეექვსეზეა. შეგახსენებთ, სერია B-ში მეექვსე ადგილი სერია A-ში ბოლოდან მეოთხეზე მყოფ „პერუჯასთან“ პლეი ოფში უსიამოვნო მოხვედრას ნიშნავს.

**პაპუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 44 | 21 | 16 | 7 | 71:38 | 79 |
| ლივორნო | 44 | 20 | 17 | 7 | 72:42 | 77 |
| კალიარი | 44 | 21 | 14 | 9 | 74:48 | 77 |
| მესინა | 44 | 19 | 16 | 9 | 65:44 | 73 |
| ატალანტა | 44 | 18 | 19 | 7 | 56:36 | 73 |
| ფიორენტინა | 44 | 18 | 16 | 10 | 51:45 | 70 |
| პიაჩენცა | 44 | 17 | 16 | 11 | 45:41 | 67 |
| ტერნანა | 44 | 17 | 14 | 13 | 57:48 | 65 |
| ტრიესტინა | 44 | 15 | 18 | 11 | 50:49 | 63 |
| კატანია | 44 | 17 | 12 | 15 | 51:53 | 63 |
| ტორინო | 44 | 14 | 17 | 13 | 56:50 | 59 |
| ასკოლი | 44 | 14 | 16 | 14 | 49:49 | 58 |
| ტრევიზო | 44 | 12 | 18 | 14 | 46:46 | 54 |
| ვიჩენცა | 44 | 12 | 18 | 14 | 46:49 | 54 |
| ნაპოლი | 44 | 10 | 24 | 10 | 33:41 | 54 |
| ჯენოა | 44 | 13 | 14 | 17 | 51:56 | 53 |
| სალერნიტანა | 44 | 14 | 11 | 19 | 36:53 | 53 |
| ალბინოლეფე | 44 | 13 | 13 | 18 | 44:56 | 52 |
| ვენეცია | 44 | 11 | 15 | 18 | 37:52 | 48 |
| ბარი | 44 | 12 | 11 | 21 | 48:59 | 47 |
| ვერონა | 44 | 11 | 14 | 19 | 48:62 | 47 |
| პესკარა | 44 | 11 | 12 | 21 | 41:63 | 45 |
| აველინო | 44 | 8 | 13 | 23 | 49:64 | 37 |
| კომო | 44 | 7 | 12 | 25 | 34:66 | 33 |

**სერია C1/A**

**პლეი ოფი**

ლუკეზე 3:4 ლუმეცანე
რიმინი 1:1 ჩეზენა

**პლეი აუტი**

პრატო 0:0 პრო პატრია
ვარეზე 0:1 რეჯანა

**სერია C1/B**

**პლეი ოფი**

ბენევენტო 1:0 კროტონე
აკირეალე 1:2 ვიტერბეზე

**პლეი აუტი**

ტარანტო 1:1 ფერმანა
პატერნო 0:0 პეზარო



# ამოუხსნელი მოვლენა

## იუვენტუსი ბუნდოვანი პროექტების წინააღმდეგ

*ამ ბოლო დღეებში, თუკი იტალიურ ფეხბურთში რამე მნიშვნელოვანი მოხდა, ფაბიო კაპელოს „იუვენტუსში“ გადასვლაა და, ბუნებრივია, ამ მოვლენას რეზონანსი მოჰყვებოდა. მაგალითად, ასეთი:*

„ვკვირობ, რომ ცნობამ კაპელოს „იუვენტუსში“ მისვლის შესახებ გამანაწყენა — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, „მონაკოს“ მწვრთნელმა და, შესაბამისად, გასულ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „პორტუსთან“ დამარცხებულმა დიდიე დეშანმა — ეჭვი არ მეპარებოდა, რომ უახლოეს დღეებში ტურინელებთან კონტრაქტს გავაფორმებდი, მაგრამ მოულოდნელად ისეთი რამ მოხდა, რასაც ვერაფრით ვხსნი“.

აღსანიშნავია, რომ კაპელოსთან გარიგებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა, ლუჩანო მოჯიმ საქვეყნოდ ბრძანა, მარჩელო ლიპის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ჩვენი მომავალი თავკაცი ან დიდიე დეშანი იქნება, ანაც „პარმას“ მწვრთნელი ჩეზარე პრანდელიო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის პარალელურად, სადღაც მიკეტილ კარს უკან კაპელოს ეთათბირებოდა.

სხვათა შორის, დეშანზე იმასაც ამბობდნენ, „ჩელსიში“ წავაო, მაგრამ ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მისი დამმარცხებელი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ მიჰყავთ.

„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ კაპელო „იუვეს“ სკამზე დაჯდებოდა — მაინც ტურინში მომხდარ ამბავზე ფიქრობს ფრანგი — ახლა კი, მგონი, „მონაკოდან“ ფეხს აღარ მოვიცვლი“.

თუმცა კაპელოს „იუვეში“ გადასვლას მხოლოდ გულისწყრომა არ გამოუწვევია. მაგალითად, „ბებერი ქალბატონისა“ და იტალიის ნაკრების მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს ამ ამბავმა გული მოუფონა.

„ცხადია, გახარებული ვარ და მეტიც — თქვა ბუფონმა — ეს კლუბისთვის ძალიან, ძალიან კარგია და მოდით, ეჭვს ნურავინ შეიტანთ, რომ მას დიდი ეფექტი მოჰყვება“.

გავიმეოროთ, რომ „რომადან“ „იუვეში“ გზას გამოჰყვა ფრანგი ჯონათან ძებინაც. იმავე გზაზე ელიან ბრაზილიელ ემერსონსაც.

ბუფონი: „კაპელოს დანიშვნა ნიშნავს იმას, რომ „იუვენტუსი“ გამარჯვებებს დაუყოვნებლივ აპირებს და რაღაც ბუნდოვან, მრავალწლიან პროექტზე, რომელიც შედეგს მომავალში გამოიღებს, არ არის საუბარი“.

ცნობით კმაყოფილი დარჩა მაურიო კამორანეზიც, რომელმაც ახალი ამბავი ბუფონთან ერთად ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე გაიგო.

„კაპელო ძალიან პრესტიჟული მწვრთნელია, რომელსაც ყველა ჯილდო აქვს მოგებული, ბედნიერი ვარ, „იუვენტუსში“ წამოსვლა რომ გადაწყვიტა, ეს ჩვენი გუნდის ყველა ქომაგს კარგად ენიშნა. კაპელოს დიდი შედეგები ჰქონდა „მილანსა“ და „რეალში“, მან აღორძინა „რომა“ და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტურინშიც ტრიუმფი ელის“ — თქვა დაბადებით და აღზრდით არგენტინელმა.

კაპელოს ტურინში მისვლას კი, მოგეხსენებათ, სამწუხარო ამბავი დაემთხვა, გარდაიცვალა „იუვენტუსის“ საპატიო პრეზიდენტი უმბერტო ანიელი.

„სწორედ ანიელის უნდოდა „იუვეს“ მწვრთნელად კაპელოს ნახვა“ — განაცხადა კლუბის ახლანდელმა პრეზიდენტმა ფრანკო გრანდე სტევენსმა.

და „იუვენტუსთან“ დაკავშირებული კიდევ ერთი ამბავი: ამბობენ, ფრანგი დავიდ ტრეზეგეს წასვლის შემდეგ „ბებერ ქალბატონს“ კრისტიან ვიერი დაუბრუნდებაო.

„ერთი სული მაქვს, როდის გადავალ „ბარსელონაში“ — უთხრა ტრეზეგემ ესპანურ გაზეთ „ელ მუნდო დეპორტივოს“ — ვოცნებობ, ასი ათასი ქომაგით შევსებული „კამპ ნოუს“ მინდორზე გასვლას. ვგრძნობ, რომ კლუბს დიდი პროექტი აქვს, თუმცა ერთი ვიცი, რომ „იუვენტუსი“ გაყიდვით მაქსიმალური სარფის ნახვას შეეცდება“.

**პაპუნა ბედია**

# ოცდაოთხ საათში



ჩეზარე პრანდელი

*ფაბიო კაპელო „რომადან“ „იუვენტუსში“ სულ რაღაც 24 საათის გადასული იყო, როდესაც რომაელებმა ახალი მწვრთნელის ვინაობა დაასახელეს — ჩეზარე პრანდელი „პარმადან“.*

„რომას“ დირექტორი ფრანკო ბალდინი: „სანამ ფინანსურ საკითხებზე შევთანხმდებოდით, გუნდთან დაკავშირებული აბსოლუტურად ყველა დეტალი შევათანხმეთ ერთმანეთს“.

შეგახსენებთ, რომ „პარმას“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი „მონაკოს“ მწვრთნელ დიდიე დეშანთან ერთად სწორედ რომ „იუვენტუსში“ მარჩელო ლიპის შესაძლო შემცვლელად განიხილებოდა, მაგრამ ის, რაც გასულ პარასკევს კაპელოსთან დაკავშირებით მოხდა, მართლაც სენსაციური რამ გახლდათ.

ერთი სიტყვით, პრანდელიმ „ჯალოროსისთან“ სამწლიანი კონტრაქტი დასდო და პირველ სეზონში 1,8 მილიონ ევროს მიიღებს, მისი შემოსავალი მეორე სეზონში 400 ათასით გაიზრდება. ხოლო მესამეში ი 180 ათასით.

ჩეზარე პრანდელი 46 წლისაა, ადრე „ვენეციას“ ედგა სათავეში, ხოლო ამ სეზონში გაკოტრებული „პარმა“ მეხუთე ადგილზე გაიყვანა, რაც უთუოდ დიდი შედეგია, იმის გათვალისწინებით, რომ გუნდმა მალე დაკარგა წამყვანი ფეხბურთელები — ადრიანო, ემანუელე ფილიპინი და ადრიან მუტუ.

კაპელოს წასვლის შემდეგ „რომას“ შეფებმა პრანდელიზე არჩევანი კლაუდიო რანიერის და სერხე კოზმის კანდიდატურების დაწუნების შემდეგ გააკეთეს.

**პაპუნა ბედია**

# ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, ხორვატია



11 ოქტომბერი. თურქეთი — ინგლისი 0:0. სტამბოლურმა ფრემ ინგლისს ჯგუფში პირველი ადგილი არგუნა

## გზა პორტუგალიამდე

### VII შესარჩევი ჯგუფი

12.10.2002 --------------- სლოვაკეთი 1:2 ინგლისი
16.10.2002 ----------------- ინგლისი 2:2 მაკედონია
29.03.2003 ------------ ლიხტენშტაინი 0:2 ინგლისი
02.04.2003 ------------------ ინგლისი 2:0 თურქეთი
11.06.2003 --------------- ინგლისი 2:1 სლოვაკეთი
06.09.2003 ---------------- მაკედონია 1:2 ინგლისი
10.09.2003 ----------- ინგლისი 2:0 ლიხტენშტაინი
11.10.2002 ------------------ თურქეთი 0:0 ინგლისი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 6 | 2 | 0 | 14:5 | 20 |
| თურქეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:5 | 19 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:9 | 10 |
| მაკედონია | 8 | 1 | 3 | 4 | 11:14 | 6 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 1 | 7 | 2:22 | 1 |





### განრიგი

13 ივნისი
ლისაბონი. „ლუზი". 23.45
საფრანგეთი – ინგლისი
17 ივნისი
კოიმბრა.
„სიდადე დე კოიმბრა". 21.00
ინგლისი – შვეიცარია
21 ივნისი
ლისაბონი. „ლუზი". 23.45
ხორვატია – ინგლისი

# მინდორსგარეთა ამბებით ტანჯული

ათიათასობით ერთგული, თავზეხელაღებული გულშემატკივრის თანხლებით, მსოფლიოს უძველესი ნაკრები, ინგლისის ნაკრები მიემგზავრება პორტუგალიაში და ალბათ, შიშობს კიდეც იმაზე, რომ ამ გულშემატკივართა წყალობით ევებ პირველივე მატჩის შემდეგ დაითხოვონ ევროპის ჩემპიონატიდან.

ინგლისმა წაუგებლად განვლო შესარჩევი ტურნირი და ოთხი ქულა აართვა მსოფლიოს თასის ნახევარფინალისტ თურქეთს, რაც საამაყოდ და იმის საფუძვლად დარჩა, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატია. ოღონდაც, ნაკრებს კვლავ ჰყავს ხულიგანი გულშემატკივრები და უეფამაც მიანიშნა, რომ თუკი გულშემატკივრები ისევე მოიქცევიან, როგორც სანდერლენდში ინგლის — თურქეთის მატჩის დღეს მოიქცნენ, ინგლისი შინ წავა. ეს კი შემაშფოთებელია, რადგან ინგლისელები მართლა ფიქრობენ წარმატებაზე.

ახლა ინგლისში ამბობენ, რომ სვენ გორან ერიკსონმა საბოლოოდ მოიცალა ნაკრებისთვის და გუნდის ხერხემლად ბექემ-ჯერარდ-ოუენის ტრიოს სახავენ.

მთავარია, ინგლისმა ღირსეულად გაიაროს ჯგუფური ტურნირის პირველი მატჩი ფრანგთა წინააღმდეგ. თუ ასე მოხდება, შვეიცარია და ხორვატია ხელს ვეღარ შეუშლიან მეოთხედფინალში გასვლაში.

სტივენ ჯერარდი ბრწყინვალე ფორმაშია, რასაც ოუენსა და ბექემზე ვერ ვიტყვით. სხვა პრობლემები ინგლისს დაცვის ხაზში აქვს — დასჯილია რიო ფერდინანდი, ჯონათან ვუდგეიტს კი ტრავმა აქვს. დევიდ ჯეიმსი პირველად დგას კარში დიდ შეჯიბრებაზე.

ინგლისის ნაკრებს, როგორც ყოველთვის, ახლაც აქვს მინდორსგარეთა პრობლემები. შესარჩევ ჯგუფში ფეხბურთის სამშობლოს ნაკრებს მეტოქეთა გულშემატკივრებიც ებრძოდნენ. ბრატისლავაში, მათ სასტუმროსთან სროლა ატყდა და იქ ორი ინგლისელი ფანი დაჭრეს. ემილ ჰესკი რასისტულად შეურაცხჰყვეს და საერთოდ, სლოვაკურ მინდორზე თამაში სახიფათო იყო. ცუდი ამბები ტრიალებდა მაკედონიაში სტუმრობისასაც.

და მაინც, ინგლისმა წაუგებლად გაიარა კამპანია. საშინაო ფრეს მაკედონიელთა, ლიხტენშტაინელთა და თურქთა დამარცხება მოჰყვა. თურქთა ძლევა სანდერლენდში მატჩისწინა ქუჩის ჩხუბებით დამახინჯდა. 95 კაცი დაიჭირეს, ინგლისი კი 110 ათასი დოლარით დააჯარიმეს. მერე ინგლისმა მოუგო მაკედონიას და სლოვაკეთს, კვლავ ლიხტენშტეაინს და შარშან, ოქტომბერში სტამბოლს გაემგზავრა გადამწყვეტ თამაშზე.

თურქ და ინგლისელ გულშემატკივართა მძიმე ურთიერთობის გამო ასოციაციამ სთხოვა ფანებს, სტამბოლში არ გაჰყოლოდნენ ნაკრებს. ამ თამაშს რიო ფერდინანდის მოკვეთა დაემთხვა და ნაკრები საერთოდაც ბოიკოტით იმუქრებოდა, რიოსადმი სოლიდარობის მიმართ.

სტამბოლის მატჩში დევიდ ბექემმა პენალტი ააცილა, შესვენებისას კი გასახდელში ჩხუბი ატყდა, რომლის წამომწყებიც თურქი ალფაი იყო. ინგლისმა მიიღო საჭირო შედეგი, უგოლო ფრე და გადათამაშების გარეშე გავიდა ფინალურ ეტაპზე.

ამ შემთხვევაში იმედისმომცემი ის იყო, რომ ინგლისი კარგად გაუმკლავდა სკანდალური ვითარების გამო წამოჭრილ ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

ევებ, პორტუგალიაშიც ასე მოხდეს.






### მეკარეები

დევიდ ჯეიმსი ------------ მანჩესტერ სიტი
პოლ რობინსონი ---------- ტოტენჰემ ჰოთსპური
იან უოქერი --------------- ლესტერ სიტი



### მცველები

გარი ნევილი ------------- მანჩესტერ იუნაიტედი
სოლ კემპბელი ---------- არსენალი, ლონდონი
ჯონ ტერი ---------------- ჩელსი, ლონდონი
ეშლი კოული ------------- არსენალი, ლონდონი
ჯეიმი კარაგერი ---------------------- ლივერპული
ფილ ნევილი -------------------------- მანჩესტერ იუნაიტედი
ლედლი კინგი ------------------------ ტოტენჰემ ჰოთსპური
უეინ ბრიჯი --------------------------- ჩელსი, ლონდონი



### ნახევარმცველები

დევიდ ბექემი ------------ რეალი, ესპანეთი
სტივენ ჯერარდი ------- ლივერპული
პოლ სქოულზი ---------- მანჩესტერ იუნაიტედი
ფრენკ ლამპარდი ------- ჩელსი, ლონდონი
ოუენ ჰარგრივსი ---------------------- ბაიერნი, გერმანია
ნიკი ბათი ----------------------------- მანჩესტერ იუნაიტედი
კირონ დაიერი ------------------------ ნიუკასლ იუნაიტედი
ჯო კოული ---------------------------- ჩელსი, ლონდონი



### თავდამსხმელები

მაიკლ ოუენი ------------ ლივერპული
უეინ რუნი --------------- ევერტონი, ლივერპული
ემილ ჰესკი -------------- ბირმინგემ სიტი
დარიუს ვასელი --------- ასტონ ვილა, ბირმინგემი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი



ინგლისში თურქეთის სტუმრობამ პოლიციას ბევრი თავსატეხი გაუჩინა

# ევრო-2004. B ჯგუფი: საფრანგეთი, ინგლისი შვეიცარია, ხორვატია

ეროვნული ბიბლიოთეკა




## სწორედ ბექჰი



**დევიდ ბექემი** ინგლისის ნაკრების კაპიტანი და იმედია, მაგრამ როგორ ხვდება იგი მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატს?

გაბუტვა სერ ალექს ფერგიუსონთან, მადრიდის „რეალში" გადასვლა და საკლუბო სეზონის უტიტულოდ ჩამთავრება. პლუს საოჯახო სკანდალი — აი, ბექჰის ბოლო წელიწადი. მან ბრწყინვალედ დაიწყო სეზონი, მაგრამ ჩვეულებრივად დაამთავრა.

მარტის თვიდან ბექემი ჩაქრა, მადრიდულმა „მარკამ" დაწერა:

„თავიდან ბექემი ფეხბურთს თამაშობდა და დარბოდა. მერე დარბოდა და ფეხბურთს თამაშობდა. მერე მხოლოდ დარბოდა. ახლა ის აღარც დარბის და აღარც თამაშობს".

ესპანეთში გადასვლას ბექემი ინგლისური პრესის პირველი გვერდებიდან არ გაუქრია: მას საიდუმლო რომანი გაუხეთქეს და ამ სკანდალს ძლივს დააღწია თავი.

წლეულს ბექემმა პოზიციაც შეიცვალა: მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში გადავიდა.

სვენ გორან ერიკსონი ადრეც ათამაშებდა მოედნის შუაგულში.

მძიმე სეზონის მიუხედავად, დასამალი არ არის: ბექემი მაიკლ ოუენთან ერთად მთავარი ფიგურაა ნაკრებში.

ოუენი შემაშფოთებლად აუცილებელია ინგლისისთვის: ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ნაკრებს თამაში არ მოუგია, თუ ოუენი მოედანზე არ იყო. მაგრამ ბექჰის სტატისტიკაც არანაკლებ მეტყველია: ევროშესარჩევ ჯგუფში ბექჰმა 7 თამაშში ხუთი გოლი გაიტანა და ნირწამხდარი ნაკრებიც არაერთხელ ათრია მარტომ.

ყველას ახსოვს მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტ შესარჩევ მატჩში მის მიერ ბერძნების კარში გატანილ ჯარიმა, მაგრამ არ ახსოვთ, რომ ის თამაში ბექემმა არა მხოლოდ ამ გოლით, არამედ თამაშითაც გადაარჩინა.

ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე — თუ ინგლისს რაიმეს იმედი აქვს ევროპის ჩემპიონატზე, ამ რაიმეს რეალური შემსრულებელი სწორედ ბექჰია.

## პატარა რუნი

**უეინ რუნი**: აი, ვინ უნდა შეიქნას მსოფლიოს სალაპარაკო ბიჭად ევროპის ჩემპიონატზე. ასე ფიქრობენ ინგლისელები, კუნძულის ყრმა ვარსკვლავი კი ჯერაც არ გამხდარა ოცი წლისა, თუმცა ბოლო ორი სეზონია, ქვეყნის ხვალინდელ ფეხბურთს განასახიერებს.

მისი დებიუტი საოცნებოა მილიონობით ბიჭისთვის: 2002 წლის ოქტომბერში, მან, შეცვლაზე შესულმა გამარჯვების გოლი გაუტანა „არსენალს და, ჯერ უწვერული, „ევერტონის" სიმბოლოდ იქცა.

ამ გოლიდან ერთი თვის თავზე, 17 წლისა ის შეიქნა ინგლისის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ნაკრებში რომ ითამაშა.



ნაკრების სასტარტოში პირველივე თამაშმა ის დიდების შარავანდედით შემოსა, რუნიმ სანდერლენდში ბდღვირი გაადინა თურქებს. მოგვიანებით, მან კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა, მაკედონიელთა კარში გატანილი გოლით ყველაზე ახალგაზრდა ინგლისელი შეიქნა სანაკრებო თამაშში რომ გაუტანია. მან სახელი დაიგდო, მაგრამ პრემიერლიგაში სტაბილურობას ვერ მიაღწია. მოკრივის ვაჟმა, მოედანზე გამართული კრივისთვის უკვე ბარე 18 ყვითელი ბარათი მიიღო და გაძევებებსაც გაექცა.

მოედანს გარეთ მორცხვი და თავმდაბალი, რუნი სრულიად იცვლება მინდორზე და აგრესიული და ხისტი ხდება, ხშირად, არცთუ საჭირო ვითარებაში. მისი დრიბლინგი, ჯანი, დარტყმები და სისწრაფე ერთი მხარეა, აგრესია კი მეორე.

წლეულს რუნი დიდად ვერ გამოადგა „ევერტონს", მხოლოდ ცხრა გოლი გაიტანა. მაგრამ ის ჯერაც ბიჭია და ბიჭური გულანთებით ელის ევროპის ჩემპიონატს: „პატარაობისას, ასეთ შეჯიბრებებს რომ ვუყურებდი, დიდი ფეხბურთელების შესახებ ვფიქრობდი. ახლა მეც იქ ვარ. ალბათ, ძალიან დაძაბული დღეები იქნება. მე მგონია, რომ ყველაფერი გამომივა".

## საკრიტიკო შვედი

**სვენ გორან ერიკსონი** წყნარი ინტელექტუალია. ოღონდაც, მის ყოველ წამოწყებას თან საგაზეთო სკანდალები სდევს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი რომ დაიწყო, გაზეთები მისი და ტელეწამყვან ულრიკა იონსონის სასიყვარულო თავგადასავლის ამბებით აჭრელდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ინგლისმა ეს შესარჩევი ტურნირი განვლო და ფინალურ ეტაპზე გავიდა, ახალი სკანდალიც აგორდა, შვედი კლაუდიო რანიერის „ჩელსის" მენეჯერის სავარძელს ართმევსო.

სკანდალმა ისეთი მარადიული სახე მიიღო, რომ ერიკსონმა ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი ინგლისის ნაკრებთან და ამით თუღა შეძლო ლაპარაკების ჩაცხრობა. „ჩელსის" მარცხი ამ ისტორიაში, ერთი შეხედვით, ნაკრების იღბალზე მეტყველებს. ოთხი წლის განმავლობაში ნაკრებმა ერთადერთხელ წააგო და ისიც ცნობილი თამაში ბრაზილიასთან. 19 ოფიციალურ მატჩში ერთი წაგება, აი, შვედის მთავარი მიღწევა.

ერიკსონმა მძიმე დროს ჩაიბარა ნაკრები. ინგლისმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გერმანიასთან საშინაო მარცხით და კევინ კიგანის გადადგომით დაიწყო. ამას მოჰყვა ფრე ფინეთში ჰოვარდ უილკინსონის დროებითი თავკაცობით და ამხანაგური მატჩის წაგება იტალიასთან პიტერ ტეილორის ასევე დროებითი თავკაცობით.

სწორედ ამის შემდეგ მოვიდა ერიკსონი, რომელმაც დინჯად დაიწყო და მიუნხენში გერმანელთა განადგურებით დააგვირგვინა.

შემდეგ იყო მსოფლიოს ჩემპიონატი და მარცხი ბრაზილიასთან, პასიური თამაში. იმ დღიდან ერიკსონს გამუდმებით აკრიტიკებენ. ინგლისში ბევრი მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნებოდა, შვედს მინდორზე მიმდინარე ამბებზე უფრო მეტი ეფიქრა, ვიდრე თუნდაც „ჩელსიზე".

## სიზუსტის მოლოდინში

**კარიერაში** ყველაზე ცუდი სეზონი ინგლისის ყოფილმა ვარსკვლავბიჭუნამ, მაიკლ ოუენმა ევროპის ჩემპიონატით უნდა დაასრულოს.

ტრავმებით ტანჯულმა ფორმიდან ამოვარდნილმა, „ლივერპულიდან" წასვლის შესახებ ატეხილი ლაპარაკებით გაბეზრებულმა ოუენმა, სეზონი 21 გოლით დაასრულა, რაც ეგებ სხვისთვის კარგიც იყო, მაგრამ მისთვის უაზრობაა, რადგან ბოლო სამ წელიწადში მას სეზონში 31 გოლზე ნაკლები არ გაუტანია.

ოუენი ექვსი წელიწადია, რაც ინგლისის ნაკრების შეტევის ლიდერია: იმ საღამოდან, რაც 1998 წელს ზღაპრული გოლი გაუტანა არგენტინას.

თუკი „ლივერპულს" რაიმე გამარჯვება მოუპოვებია, ოუენი მთავარი კაცი იყო. გერმანელთა კარში ორი წლის წინათ გატანილი სამი გოლი კი მისი სანაკრებო მიღწევების ერთ-ერთი დიდი ნიშნულია. მაშინ ინგლისმა მიუნხენში სძლია გერმანიის 5:1. ამ მოგებიდან სამი თვის თავზე ოუენი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მაგრამ მისი კარიერის მეორე მხარე ხშირი ტრავმებია. ბოლო ორ წელიწადს „ლივერპულს" საზეიმო ბევრი არაფერი ჰქონია და ამაში ბრალი ოუენის გაუთავებელი ტრავმებს ედო.

ინგლისის ნაკრებს კი საქმე უკეთ ჰქონდა. მან დაუმარცხებლად განვლო ევრო 2004-ის შესარჩევი ტურნირი. ოუენი კი ერთგვარი თილისმაცაა ამ გუნდისთვის. ისეთი, როგორიც მისი წინამორბედი ალან შირერი იყო. უმისოდ ნაკრები ვერ იგებს. 24 წლის ოუენს 50-ზე მეტჯერ უთამაშია ნაკრებში და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დამაგვირგვინებლად ითვლება.

ინგლისის წარმატება მის სიზუსტეზეც ჰკიდია. ერთხელ, ბიჭობაში მაიკლმა 150-ზე მეტი გოლი გაიტანა სასკოლო სეზონში.



# ამხანაგური მატჩები

## ადვოკაატმა წუწუნი დაიწყო



ბარტ გოორმა (№8) გოლი პენალტით გაიტანა და გაიხარა

**ჰოლანდია 0:1 ბელგია**

0:1 გოორი (78პ)
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა, სტამი, ბუმა, ვან ბრონკჰორსტი (ოვერმარსი 61), სნეიდერი, ზეედორფი (მაკაი 79), კოკუ, ზენდენი, კლუივერტი (ვან დერ მეიდე 46), ვან ჰოიდონკი (ვან ნისტელროი 69)
**მწვრთნელი:** დიკ ადვოკაატი
**მსაჯი:** კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
34 000 მაყურებელი

ჰოლანდიამ ეინჰდოვენში მოულოდნელად ბელგიასთან წააგო. სტუმართა კაპიტანმა ბარტ გოორმა პენალტი გაიტანა და ეს იყო ბელგიელთა პირველი ზეობა „ნარინჯისფერებზე“ 1994 წლის შემდეგ. თერთმეტმეტრიანი მაშინ დაინიშნა, როცა ჯონ ჰეიტინგმა მბო მპენზა წააქცია. მასპინძლებს ტრავმირებული მარკ ვან ბომელი და რაფაელ ვან დერ ვაარტი არ ჰყავდათ, ხოლო შეტევაში პატრიკ კლუივერტისა და პიერ ვან ჰოიდონკის წყვილმა მუქთად, უგოლოდ ითამაშა.

ედვინ ვან დერ ვაარტმა მესამე წუთზევე ვინსენ კომპანის თავით დარტყმული ბურთი ხაზზე მოიგერია.

თავის მხრივ, ჰოლანდიელებს პირველ ტაიმში ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ — ფილიპ კოკუს ტრისტან პეერსმანმა აუღო, ხოლო ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის დარტყმული სვენ ვერმანტმა გამოაძვრინა.

შესვენების შემდეგ დიკ ადვოკაატმა გუნდი 4-3-3-ზე გადააწყო. ზენდენი მარცხენა ფლანგზე გადაიყვანა, ხოლო კლუივერტი ვან დერ მეიდეთი შეცვალა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში ვესლი სნეიდერის დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

„ძალიან ცუდია, რომ დიდი ტურნირის წინ მოსამზადებელი მატჩი წავაგეთ — თქვა დიკ ადვოკაატმა— მაგრამ ვიმედოვნებ, ჩემი ფეხბურთელები 12 ივნისამდე შეცდომებს გამოასწორებენ. საწყენია კიდევ ერთი — პიერ ვან ჰოიდინკისა და პატრიკ კლუივერტის დუეტმა სახეირო ვერაფერი შექმნა, ძალიან გვაკლდა ედგარ დავიდსი“.

**ვაჟა ხუციშვილი**



სილვენ ვილტორდმა (№11) ანდორა ორჯერ დაამწუხრა

## სანტინიმ ანდორას ვილტორდით მსროლა

**საფრანგეთი 4:0 ანდორა**

1:0, 2:0 ვილტორდი (45, 55), 3:0 საჰა (68), 4:0 მარლე (74)
**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, დესაი (ტურამი 69), გალასი, სილვესტრი, ვიეირა (ლიზარაზუ 46), პედრეტი, პირესი, ვილტორდი, საჰა (ტრეზეგე 69), მარლე (ბუმსონგი 78)
**მწვრთნელი:** ჟაკ სანტინი
**მსაჯი:** მურად დაანი (ტუნისი)
27 553 მაყურებელი

როგორც წესი, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების წინ დიდი გუნდები პატარებს გუნების გამოსაკეთებლად და განტვირთვისთვის ეთამაშებიან.

საფრანგეთის ნაკრებმა ანდორას მხოლოდ ოთხი გოლი გაუტანა, სილვენ ვილტორდმა კი დუბლი შეასრულა.

საპირველტაიმო უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლები შესვენებამდე წუთით ადრე დაწინაურდნენ — „მეთოფე“ ვილტორდმა საჯარიმოს გარედან შეაგდო — არსენალელმა მეორე უილიამ გალასის პასით ახლოდან, მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა. ანდორელთა კარში თითო ლუი საჰამ და სტივ მარლემაც მიაყოლეს.

ოთხი გოლით შეწყდა ფრანგთა მშრალი სერია. „სამფეროვნებმა“ აქამდე ზედიზედ ორ მატჩში, ჰოლანდიასთან და ბრაზილიასთან ვერ გაიტანეს.

„ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კვლავ ვაგრძელებთ დაუმარცხებელ სერიას — აღნიშნა ჟაკ სანტინიმ — მადლობელი ვარ ყველა მოთამაშისა, რადგან მათ გუნდური ფეხბურთი აჩვენეს. ჩემი მიზანი არ იყო ბევრი გოლის გატანა. ეს მხოლოდ იმ პროგრამის ნაწილია, რომლის მიხედვითაც ევრო 2004-ისთვის ვემზადებით“.

ფრანგები მომდევნო ამხანაგურ მატჩს პარიზში, უკრაინასთან გამართავენ.

„სამფეროვნებს“ ტრავმირებული ლუდოვიკ ჟიული გამოაკლდათ და მის ნაცვლად სანტინიმ ყოფილი შეგირდი, ლიონელი სიდნეი გოვუ აიყვანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ირლანდია 0:3 ნიგერია**

0:1 ოგბეჩე (36), 0:2 მარტინსი (50), 0:3 ოგბეჩე (69)

**მალი 0:0 მაროკო**

**გვინეა 1:1 სენეგალი**

1:0 კ. დიავარა (24პ), 1:1 გაი (82)

**ეგვიპტე 2:0 გაბონი**

1:0, 2:0 ჰ. ჰასანი (88, 90პ)

**აზერბაიჯანი 3:1 უზბეკეთი**

1:0 გ. გურბანოვი (34), 1:1 ტაჯიევი (45), 2:1 ი. გურბანოვი (64), 3:1 ე. გულიევი (75)

**პოლონეთი 1:0 საბერძნეთი**

1:0 კრჟინოვეკი (16)

**ხორვატია 1:0 სლოვაკეთი**

1:0 ოლიჩი (29)
**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი (აჯიჩი 80), შიმუნიჩი, ბიელიცა (ნ. კოვაჩი 46), რ. კოვაჩი (ტოკიჩი 62), ბ. ჟივკოვიჩი, რაპაიჩი (ნერეტლიაკი 71), როსო, ოლიჩი, მორნარი (ლეკო 66), შოკოტა (მ. მარიჩი 72)
**მწვრთნელი:** ოტო ბარიჩი
**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
5 500 მაყურებელი

**ფინეთი 1:3 შვედეთი**

1:0 ლიტმანენი (9პ), 1:1 ა. ანდერსონი (30), 1:2, 1:3 ოლბოკი (45, 82)

## სკოლარიმ ბევრი მოინდომა

**პორტუგალია 3:0 ლუქსემბურგი**

1:0 ფიგუ (14), 2:0 ნუნუ გომეში (28), 3:0 რუი კოშტა (37)
**პორტუგალია:** კიმი, მ. მონტეირუ (პ. ფერეირა 69), ფ. კოუტუ, ჟორჟე ანდრადე (ბეტუ სევერუ 46), რუი ჟორჟე (რ. კარვალიუ 63), პეტიტი (კოშტინია 69), ტ. მენდეში (მანიშე 69), ფიგუ (კ. რონალდო (46), რუი კოშტა (დეკო სოუზა 69), სიმაო, ნუნუ გომეში (პოსტიგა 46)
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**მსაჯი:** რობ სტაილზი (ინგლისი)
9 000 მაყურებელი

პორტუგალიელებმა ლუქსემბურგი პირველ ტაიმში გატანილი სამი გოლით დაამარცხეს. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ობიდოსში მოსამზადებლად მყოფ ნაკრებზე თქვა, ფიზიკურად კარგად გამოიყურებაო. ევრო 2004-ის მასპინძლებს გასულ პარასკევს „პორტუს“ ექვსი ფეხბურთელი შეუერთდა და მწვრთნელმაც გაიხარა.

ლუიშ ფიგუმ ანგარიში მე-14 წუთზე, საჯარიმო დარტყმით გახსნა, ნუნუ გომეშმა რუი კოშტას დახვეწილი პასით მეორე შეაგდო, ხოლო მესამე თავად მილანელმა დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად გასროლილით გაიტანა. ეს იყო რუი კოშტას 27-ე სანაკრებო გოლი.

პორტუგალიელებმა ლაღად ითამაშეს და დეკო სოუზამ მეორე ტაიმში ორი ნაღდი მომენტი გააცუდა.

ნამატჩევს სკოლარიმ განაცხადა: „მე მსურდა, რომ ჩემს გუნდს კარში ბევრჯერ დაერტყა და მათ ეს გააკეთეს“.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებს მომდევნო ამხანაგური მატჩი 5 ივნისს ელით. ისინი სეტუბალში ლიტველებს შეხვდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**



მანუელ რუი კოშტამ 27-ე სანაკრებო გოლი გაიტანა

### ევროპის ახალგაზრდული (U-21) ჩემპიონატი

**A ჯგუფი. II ტური**

**ბელარუსი 1:1 ხორვატია**

0:1 ლუჩიჩი (38), 1:1 კირილჩიკი (82)

**იტალია 2:1 სერბეთი**

1:0, 2:0 სკული (30, 53), 2:1 ვუკჩევიჩი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სერბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

**B ჯგუფი. I ტური**

**გერმანია 2:1 შვეიცარია**

1:0 აუერი (21), 2:0 ჰიცლშპერგერი (63), 2:1 დეგენი (75)

**შვედეთი 3:1 პორტუგალია**

0:1 უგო ალმეიდა (28), 1:1, 2:1 ელმანდერი (40, 51), 3:1 იშიზაკი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### უკრაინა

**პრემიერლიგა. XXVII ტური**

დინამო — კრივბასი 6:0; ილიჩევეცი — არსენალი 2:1; მ. დონეცკი — ჩერნომორეცი 2:1; კარპატი — ბორისფენი 2:3; ზირკა — მ. ზაპოროჟიე 1:3; ვორსკლა — ვოლინი 2:2; ტავრია — შახტარი 1:2; ობოლონი — დნიპრო 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 20 | 4 | 3 | 56:17 | 64 |
| შახტარი | 27 | 19 | 4 | 4 | 53:19 | 61 |
| დნიპრო | 27 | 15 | 8 | 4 | 43:22 | 53 |
| მ. დონეცკი | 27 | 12 | 9 | 6 | 44:31 | 45 |
| ჩერნომორეცი | 27 | 10 | 12 | 5 | 34:26 | 42 |
| ილიჩევეცი | 27 | 9 | 10 | 8 | 31:33 | 37 |
| ობოლონი | 27 | 9 | 8 | 10 | 29:33 | 35 |
| ბორისფენი | 27 | 9 | 8 | 10 | 23:28 | 35 |
| არსენალი | 27 | 9 | 7 | 14 | 33:34 | 34 |
| კრივბასი | 27 | 8 | 6 | 13 | 24:39 | 30 |
| მ. ზაპოროჟიე | 27 | 7 | 8 | 12 | 24:34 | 29 |
| ვოლინი | 27 | 7 | 8 | 12 | 24:37 | 29 |
| ვორსკლა | 27 | 6 | 9 | 12 | 24:39 | 27 |
| ტავრია | 27 | 5 | 10 | 12 | 17:26 | 25 |
| კარპატი | 27 | 5 | 7 | 15 | 20:37 | 22 |
| ზირკა | 27 | 3 | 8 | 16 | 15:38 | 14 |

**თასის ფინალი**

**შახტარი 2:0 დნიპრო**

### ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**A ჯგუფი. IV ტური**

**ვიტესი 1:0 ჰელმონდი**

**სპარტა 1:1 ვენლო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| სპარტა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| ვენლო | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ჰელმონდი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:11 | 2 |

**B ჯგუფი. IV ტური**

**ვოლენდამი 1:2 ექსელსიორი**

**გრააფსხაპი 2:0 ჰერაკლესი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერაკლესი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| ექსელსიორი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| გრააფსხაპი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ვოლენდამი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

### დანია

**სუპერლიგა. XXXIII ტური**

ოლბორგი — მიდტიულანდი 3:1; ოდენსე — ჰერფიოლგე 4:0; ნორდსიელანდი — კოპენჰაგენი 2:4; ესბიერგი — ფრემი 6:3; ბრონდბიუ — აკადემისკი 2:1; ორჰუსი — ვიბორგი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 33 | 20 | 8 | 5 | 56:27 | 68 |
| ბრონდბიუ | 33 | 20 | 7 | 6 | 55:29 | 67 |
| ესბიერგი | 33 | 18 | 8 | 7 | 71:44 | 62 |
| ოდენსე | 33 | 16 | 9 | 8 | 66:46 | 57 |
| ოლბორგი | 33 | 16 | 9 | 8 | 55:41 | 57 |
| მიდტიულანდი | 33 | 14 | 6 | 13 | 65:51 | 48 |
| ვიბორგი | 33 | 11 | 9 | 13 | 47:44 | 42 |
| ორჰუსი | 33 | 11 | 3 | 19 | 45:67 | 36 |
| ნორდსიელანდი | 33 | 7 | 11 | 15 | 35:59 | 32 |
| ჰერფიოლგე | 33 | 8 | 7 | 18 | 34:57 | 31 |
| ფრემი | 33 | 8 | 3 | 22 | 40:65 | 27 |
| აკადემისკი | 33 | 8 | 2 | 23 | 31:70 | 26 |

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. VI ტური**

ჰაკა — ჰაამენლინა 1:1; ინტერი — ჰიკ 1:4; ჯაზი — ლაჰტი 0:1; კტპ — ტურკუ 3:0; ტამპერე — როვანიემი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალიანსი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:4 | 12 |
| კტპ | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| ჰიკ | 6 | 2 | 4 | 0 | 13:7 | 10 |
| ტამპერე | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ტურკუ | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| ჰაკა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| მიუპა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ჯაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:11 | 7 |
| ლაჰტი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:7 | 7 |
| ინტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ტპ 47 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ჰამენლინა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| იარო | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |
| როვანიემი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# კრისტალური სასწაული

## ინგლისი

**I დივიზიონი. პლეი ოფი**

**ვესტ ჰემი 0:1 კრ. პალასი**

0:1 შიპერლი (62)




REUTERS კორპორაციის

„კრისტალ პალასი“ პრემიერლიგელი გახდა. გუნდმა საპლეიოფო ბრძოლაში, კარდიფში, „მილენიუმის“ სტადიონზე ლონდონის „ვესტ ჰემი“ დაამარცხა. „ჩაქუჩები“ შარშან გავარდნენ პრემიერლიგიდან და დაბრუნებას კვლავ ლამობდნენ, მაგრამ ამაოდ.

„კრისტალ პალასი“ 1998-ში ჩაქვეთდა პირველ დივიზიონში და ექვსწლიანი განშორების შემდეგ უძლიერესთა ოცეულს შეუერთდა. მათ გარდა პრემიერლიგაში პირდაპირ გავიდნენ „ნორვიჩი“ და „ვესტ ბრომვიჩი“.

გამარჯვების გოლი ნეილ შიპერლიმ შეაგდო, რომელიც განათხოვრებული იყო „უიმბლდონში“ და კრისტალელებს ამ სეზონში დაუბრუნდა. შიპერლიმ „ჩაქუჩთა“ მეკარის მოგერიებულს ზუსტად დაამატა.

დეკემბერში, გასავარდნ ზონაში მყოფი გუნდი ლიდერებში მას შემდეგ მოექცა, რაც მწვრთნელად „ვესტ ჰემის“ ყოფილი მოთამაშე ლეინ დოუი დანიშნეს.

„ეს წარმოუდგენელია — ხაროზბდა დოუი — „ვესტ ჰემი“ პირველ დივიზიონში საუკეთესო გუნდია, მაგრამ ჩვენ მას ვძლიეთ. „კრისტალ პალასმა“ მებრძოლი სული გამოავლინა და დამსახურებულად მოიგო“.

„ყველა გავარდნილად გვთვლიდა, ახლა კი სასწაული მოხდა“ — აღნიშნა შიპერლიმ, რომელმაც „კარისტალ პალასის“ მთავარმეგოლე ჯონსონის პასით გაიტანა.

**ირაკლი გამყრელიძე**

**II დივიზიონი**
**პლეი ოფი**

**ბრისტოლი 0:1 ბრაიტონი**

0:1 ნაითი (843)

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი**
**XXXIX ტური**

**მალაგა B 2:0 სიუდად მურსია**

1:0, 2:0 გეიხო (84, 86)

**ალავესი 1:1 ლეგანესი**

1:0 პალერმო (36), 1:1 მაკანიასი (43)

**სპორტინგი 0:2 ტენერიფე**

0:1 კორონა (80), 0:2 ხესუსი (86)

**ხეტაფე 2:1 ნუმანსია**

0:1 ფაგიანი (713), 1:1, 2:1 მიგელ ანხელი (80, 86)

**სალამანკა 0:0 პოლი ეხიდო**

**კადისი 0:3 ლევანტე**

0:1 ალექსისი (14), 0:2 სერვულო (57), 0:3 აგანსო (88)

**ალმერია 1:0 ეიბარი**

1:0 ლუნა (68)

**კორდობა 2:2 ტერასა**

1:0 ვილა (12), 1:1 მაიკელი (13), 1:2 მოლისტი (29), 2:2 ჩიკი (38)

**ალხესირასი 2:2 ელჩე**

1:0 არმენტანო (13), 1:1 ბენხა (21), 2:1 ხოსე მარი (33), 2:2 ნინო (673)

**უელვა 0:0 რაიო ვალეკანო**

**ლას პალმასი 1:1 ხერესი**

0:1 კანიტო (36), 1:1 პედრო ვეგა (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 39 | 20 | 12 | 7 | 51:28 | 72 |
| ალავესი | 39 | 18 | 14 | 7 | 44:28 | 68 |
| ნუმანსია | 39 | 19 | 10 | 10 | 54:29 | 67 |
| ხეტაფე | 39 | 17 | 16 | 6 | 46:33 | 67 |
| სპორტინგი | 39 | 18 | 10 | 11 | 54:38 | 64 |
| უელვა | 39 | 13 | 20 | 6 | 42:29 | 59 |
| კადისი | 39 | 16 | 9 | 14 | 49:43 | 57 |
| ხერესი | 39 | 12 | 17 | 10 | 45:45 | 53 |
| ეიბარი | 39 | 12 | 15 | 12 | 39:32 | 51 |
| ტენერიფე | 39 | 10 | 20 | 9 | 33:33 | 50 |
| ტერასა | 39 | 12 | 12 | 15 | 39:43 | 48 |
| ალმერია | 39 | 10 | 17 | 12 | 42:44 | 47 |
| მალაგა B | 39 | 11 | 14 | 14 | 41:50 | 47 |
| ელჩე | 39 | 12 | 11 | 16 | 47:60 | 47 |
| სალამანკა | 39 | 9 | 19 | 11 | 43:41 | 46 |
| სიუდად მურსია | 39 | 10 | 16 | 13 | 48:60 | 46 |
| კორდობა | 39 | 9 | 16 | 14 | 35:40 | 43 |
| ლეგანესი | 39 | 8 | 19 | 12 | 32:41 | 43 |
| პოლი ეხიდო | 39 | 10 | 13 | 16 | 27:38 | 43 |
| რაიო | 39 | 10 | 9 | 20 | 41:60 | 39 |
| ლას პალმასი | 39 | 8 | 14 | 17 | 42:65 | 38 |
| ალხესირასი | 39 | 6 | 15 | 18 | 37:51 | 33 |

საარბიტრო და კროკო
წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გავა | 6401 ჯგ.ვერ.გავა |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
ტელკრედიტი
TELCREDITI
CROCO
BOOKMAKERS
10
42 00 24
+%

# ვარსკვლავები ვერის ბაღში

# დაისვენეთ კალათბურთით

*„ოლ სტარის“ გაგონებაზე გონებაში უმალ ნბა და კალათბურთის ვირტუოზები ამოგიტივტივდება. ეს საკალათბურთო ცნება ოკეანგაღმიდან მოდის და ისე არაფერს უხდება, როგორც ამერიკულ კალათბურთს. ამიტომ ძნელია, უწოდო ოლ სტარი იმას, რაც შაბათს ვერის ბაღში ჩატარდა. არადა, იქ სწორედ ამ ყაიდის ღონისძიება გაიმართა — საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები, მსროლელები და მხტომელები შეეცადნენ, არცთუ ხალვათი დარბაზი გაემხიარულებინათ. ქართულ ჩემპიონატში არსებული მდარე და უხარისხო კალათბურთის კვალობაზე მათ ეს მშვენივრადაც მოახერხეს...*

29 მაისი. ვერის ბაღი

## მუქები 111:100 თეთრები

33:27 28:33 22:23 28:17

| | | | |
|---|---|---|---|
| არჩილ ქლენიტი (დინამო) | 8 | დავით ბერიშვილი (ბასკო) | 17 |
| ირაკლი ხოშტარია (დინამო) | 6 | დავით თორთლაძე (თსუ) | 5 |
| შიო ხეცურიანი (სტუ) | 10 | ლაშა კეშელავა (ბასკო) | 11 |
| ვალერი კილაძე (დინამო) | 6 | გიგი ნაცვლიშვილი (თსუ) | 12 |
| ირაკლი ჯაფარიძე (სტუ) | 6 | კახა შენგელია (თსუ) | 8 |
| ზვიად ბაბიაშვილი (სტუ) | 23 | მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი) | 16 |
| დავით მუშკუდიანი (დინამო) | 16 | ირაკლი ბერიშვილი (ბასკო) | 13 |
| რამაზ გოგობერიშვილი (დინამო) | 13 | დავით ბერძენიშვილი (ბასკო) | 13 |
| გიორგი ნიკოლაძე (სტუ) | 11 | ამროსი ორმოცაძე (თსუ) | 5 |
| ირაკლი კეიდია (დინამო) | 6 | პლასიდე როდუმტა (ბასკო) | - |
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო) | 5 | | |
| ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი) | 1 | | |

*ჟოლივეტ ტუჯანის (ბასკო) და ზაზა გაბისონიას (რუსთავი) ტრავმების გამო არ უთამაშიათ*

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი



როგორც ასეთი ტიპის მატჩებს ახასიათებთ, არც აქ გვინახავს დაცვა. კალათბურთელები ძირითადად შეტევით იყვნენ დაკავებულნი, შორ სროლებს და ჩატენვებს ეტანებოდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელ კომპონენტში შედარებით ნაკლებად გამოირჩნენ.

ეს იყო ყველაზე უპრეტენზიო და ემოციებისგან დაცლილი მატჩი, რაც კი ვერის ბაღში ბოლო წლებში გამართულა.

„ჩვეულებრივი“ შეხვედრებისგან განსხვავებით, ამჯერად მწვრთნელები ჩრდილში იყვნენ. არც ნუგზარ კანდელაკი იკლავდა თავს ტაქტიკური დაფის ტრიალით და არც დრაჟენ ბრაიკოვიჩი. ისინი იმისთვის იყვნენ, რომ სიმბოლურად შეცვლები გაეკეთებინათ და 40-40 წუთი 12-12 მოთამაშეზე მეტ-ნაკლებად თანაბრად გადაენაწილებინათ.

გუნდებს პირობითად „მუქები“ და „თეთრები“ ერქვათ. გასაგებ ენაზე კი „ბასკო“ — თსუ — „რუსთავის“ ნაკრები „დინამო“ — სტუ — „მაკაბის“ რჩეულებს ეთამაშებოდა.

ანგარიში „თეთრებმა“ გახსნეს დავით ბერიშვილის სამქულიანით და ასე დაედო სათავე საკმაოდ ქულუხვ მატჩს. მოედანზე თითქმის ყველა ის კალათბურთელი ვიხილეთ, რომლებიც საოლსტაროდ შეირჩნენ, მხოლოდ ტრავმირებული ზაზა გაბისონია და ჟოლვეტ ტუჯანი დარჩნენ სკამზე თამაშის ბოლომდე.

ვისაც რა ეხერხებოდა, იმას აკეთებდა — ტყუპი ბერიშვილები, რამაზ გოგობერიშვილი, ლაშა კეშელავა სამქულიანებს ესროდნენ, შედარებით ტანმაღლები კი ფართან ტრიალებდნენ და ჩასატენ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ.

ანგარიში კალეიდოსკოპური სისწრაფით იზრდებოდა, ყველაზე საინტერესო ეპიზოდი კი მეორე მეოთხედში გათამაშდა. „მუქებმა“ პირველი ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 17-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, თუმც „ბასკო“ — თსუ — „რუსთავის“ კრებულმა მოინდომა და დიდ შესვენებაზე ოდენ ქულიანი ჩამორჩენით გავიდა.

მეორე ტაიმში გამოჩნდა, რომ „თეთრებს“ გამარჯვებას ლამაზი ილეთების შესრულება ერჩივნათ და მატჩმაც მალევე დაკარგა სპორტული ინტერესი. ბრაიკოვიჩმა კი მოედანზე ოთხი დინამოელი გამოიყვანა და კანდელაკს მოსაგებად შეუტია. თავის მხრივ, კანდელაკსაც შეეძლო, თავისი შეგირდები (ბასკოელები) გამოეყვანა და „დინამოსთვის“ ბრძოლა გაემართა, მაგრამ „თეთრებმა“ თავი აღარ მოიკლეს და თამაშიც „მუქების“ 11-ქულიანი გამარჯვებით 110:100 დასრულდა. „დინამოს“ ცენტრმა დავით მუშკუდიანმა, მთელი თამაში რომ ჩატენვას ლამობდა, ზედ საფინალო სირენის თანხლებით მოახერხა ამ ილეთის მართლაც ლაზათიანად შესრულება...



ლაშა კეშელავა

### სნაიპერთა კონკურსი

| | |
|---|---|
| გოჩა წოწელია (მაკაბი) | 13 |
| ირაკლი ბერიშვილი (ბასკო) | 14 |
| დავით თორთლაძე (თსუ) | 15 |
| ლაშა კეშელავა (ბასკო) | 16 |
| ლევან ჯიმშელეიშვილი (რუსთავი) | 9 |
| მიხეილ ქორქია | 10 |
| რამაზ გოგობერიშვილი (დინამო) | 13 |
| **ფინალი** | |
| დავით თორთლაძე | 13 |
| ლაშა კეშელავა | 14 |

ოლ სტარის ტაიმებს შორის გამართულ სნაიპერთა შეჯიბრით მაყურებელმა მართლაც ისიამოვნა. ყველაზე მეტი ოვაცია და ტაში სწორედ სამქულიანების ოსტატებმა დაიმსახურეს. დავით თორთლაძემ, ირაკლი ბერიშვილმა, ლაშა კეშელავამ, გოჩა წოწელიამ და მიხეილ ქორქია-უმცროსმა მაყურებელი გვარიანად გაახალისა.

ერთწუთიან მონაკვეთში ჯამში 25 ბურთი იყო სასროლი პერიმეტრის 5 წერტილიდან. თითო ბურთი თითო ქულად ფასობდა.

პირველმა კონკურსანტმა გოჩა წოწელიამ 13 ქულის მოგროვება მოახერხა. თუმც ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ფინალში 16 ბურთის ჩამგდები ლაშა კეშელავა გავიდა, რომელსაც 15-ქულიანი დავით თორთლაძეც მიჰყვა.

იმარჯვა ბასკოელმა კეშელავამ, რომელმაც ფინალში თორთლაძეზე ერთით მეტი, 14 ბურთი ჩააგდო...

## შერეული მინი-ტურნირი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბერძენიშვილი, ნიკო ჩერქეზიშვილი და მედეა მხეიძე

ამ ტურნირის მთავარი შტრიხი თანამედროვე და რეტრო კალათბურთის სინთეზი გახლდათ. საოლსტარო შოუც ამ ღონისძიებით დაიწყო — ოთხი გუნდი ნახევარფინალებში შეიბა.

გუნდები ამ პრინციპებით იყვნენ დაკომპლექტებულნი — ვეტერანი, ქალი და მოქმედი კალათბურთელი. ასაკს და დამსახურებას ვცეთ პატივი და თითოეული გუნდი მასში მოთამაშე ვეტერანის სახელით მოვიხსენიოთ.

მაშ ასე, ფინალში გასასვლელად მოედნის ცალ ნახევარზე ნიკო ჩერქეზიშვილისა და მიხეილ ქორქიას გუნდები შეებნენ, მეორე ფართან კი გია სანაძე — პაატა გურასპაულის ბრძოლა გაჩაღდა.

„ჩერქეზას“ დამხმარეებად არანაკლებ გამრჯე მოთამაშეები ჰყავდა — ქართული კალათბურთის დედოფალი მედეა მხეიძე და ახალგამომცხვარი ჩემპიონი დავით ბერძენიშვილი. ქორქიას ამქარში კი ჩვენი ჩემპიონატის მსაჯ ხათუნა გაბედავას და „სტუ-ჯეოსელის“ რუსთაველ ცენტრ ირაკლი ჯაფარიძეს იხილავდით.

ბურთაობა სახალისო ხასიათისა გახლდათ — მთელი ამ ღონისძიების მიზანიც ხომ კალათბურთისგან დაღლილი მაყურებლის კალათბურთითვე გამხიარულება იყო. მაგრამ ქორქია — ჩერქეზიშვილის დაპირისპირებას მხიარულებას ნაკლებად თუ დავარქმევთ. ეს ნახევარფინალური შეხვედრა ამ ორი ვეტერანის პირად დუელში გადაიზარდა. თავიდან სიცილ-ხარხარში ცვიოდა ბურთები კალათში, მაგრამ ბოლოს თამაში რომ გათანაბრდა, ვეტერანებს დათმობა არ უნდოდათ.

ქორქიამაც ბლომად ყარა სამქულიანები (რომელიც 2 ქულად ფასობდა) და ჩერქეზიშვილმაც, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებული მაინც ყოფილი ვითელი გამოვიდა. ჩერქეზიშვილმა საფირმო გარღვევით ფინალში გამსვლელი 21-ე ქულა შემატა თავის გუნდს.

მოედნის საწინააღმდეგო კიდეზე კი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა თამაში. სანაძეს კახა შენგელია და ლიკა ქაჯაია ეხიდებოდნენ, გურასპაულს კი პლასიდე როდუმტა და თამარ ბუილიშვილი. საბოლოოდ ფინალში სანაძის გუნდი გავიდა და ეს ძირითადად ამ ვეტერანი სნაიპერის სამქულიანების წყალობით მოხდა.

ფინალური შეხვედრა „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის პირველი მეოთხედის შემდეგ გაიმართა. სანაძე-ჩერქეზიშვილის დაპირისირება ერთობ საინტერესო საყურებელი გამოდგა. თამაშს ეშხს მატებდა ქალების, უმეტესად კი მედეა მხეიძის სადა და დახვეწილი მოძრაობები. მან არაერთი ლამაზი ბურთი ჩააგდო და როცა ბერძენიშვილიც წაეხმარა, გამარჯვება ყველაზე მეტად მოწადინებულ ნიკო ჩერქეზიშვილსა და მის გუნდს დარჩა.

### ჩატენვების კონკურსი

მიშა ფანჩულიძე (თსუ)
ლევან ქისტაური (სტუ)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)

ვისაც ნბა-ს ჩატენვების კონკურსისთვის თუნდაც ცალი თვალი მოუკრავს, ამ ღონისძიებით ვერ აღფრთოვანდებოდა. გამომსვლელთა კლასი და საშემსრულებლო ოსტატობა მხოლოდ ერთმანეთის დაჯაბვნას გასწვდა. ყველაზე ლაღად და ნაკლები წვალებით დინამოელმა ვახტანგ მინაშვილმა მოახერხა ბურთის ჩატენვა და ავტორიტეტულ ჟიურის (ნიკოლოზ დერიუგინი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, რეზო ჩხეიძე, ნიკა ცქიტიშვილი) მაქსიმალური შეფასება „დასტყუა“.



ვახტანგ მინაშვილმა ყველაზე მსუბუქად და ლაზათიანად ჩატენა

## კალათბურთი

# 2004 NBA Playoffs
### კონფერენციის ფინალი

# მინესოტას ცოტა-ცოტა
## ჩემპიონს ელოდინებენ და ამუშავებენ

— 29 მაისი —

**დასავლეთი**

**მინესოტა 2:3 ლეიკერსი**

**მინესოტა 98:96 ლეიკერსი**

მინესოტა: მარტინი (2), ჰასელი (6), სპრიუელი (28), გარნეტი (30 ქულა, 19 მოხსნა), ოლოვოკანდი (1); ჰოიბერგი (14), შჩერბიაკი (11), მადსენი (6), ჯონსონი

ლეიკერსი: პეიტონი (8), ბრაიანტი (23), ჯორჯი (4), მელოუნი (17), ონილი (17 ქულა, 13 მოხსნა); ფიშერი (17), რაში (3), უოლტონი (1), მედვედენკო (2), ფოქსი (2), კუკი

საკამათო არაა, „ლეიკერსი" „მინესოტაზე" ბევრად უკეთესი გუნდია და ადრე თუ გვიან თავისას მაინც გაიტანს. „მინესოტამ" დროებით შეაჩერა მომავალი ჩემპიონები. შანსი თავისთავად „მგლებსაც" აქვთ, მაგრამ არცთუ რეალური. სტატისტიკა გვამცნობს, რომ 1:3 ჩამორჩენის შემდეგ მხოლოდ 7 გუნდს მოუგია სერია. თავად „ლეიკერსს" კი არასდროს დაუთმია 3:1 უპირატესობა. მართალია, ამ თამაშის შემდეგ ანგარიში უკვე 3:2-ია, მაგრამ „ლეიკერსი" მაინც ზედმეტად დიდი და მრავალლონეა პლეი ოფის უსიერ ტყეში ამსიშორეზე პირველად გადმოკარგული „მგლებისთვის". „მინესოტას" სახელს თავი დავანებოთ, ამ ტყეში „ლეიკერსი" ყველაზე დიდი და კბილებდაკრეჭილი „მგელია".

„მინესოტამ" მაინც იყოჩაღა და არსებობა გაიხანგრძლივა, მეხუთე მატჩს თავად მასპინძლობდა და ტრიბუნებიც დაიხმარა. არადა, მასპინძლებს სამი წამყვანი მოთამაშიდან ერთი და მართლა თამაშის წამყვანი, ანუ გამთამაშებელი სემ კასელი აკლდათ. დერიკ მარტინმა მხოლოდ ერთ თამაშში მოახერხა, მეტ-ნაკლებად სრულფასოვნად შეეცვალა ზურგმტკივანი კასელი, სხვა შეხვედრებში კი ის ყურებზე ხახვს ვერ აჭრიდა ლეიკერსელ გამთამაშებელთა წყვილს — გერი პეიტონს და დერიკ ფიშერს. მარტინს არც ახლა უკრეფია სამქულიანები — დერიკ ფიშერს შორ და საშუალო მანძილებიდან სროლებში უაზროდ აჰყვა, მაგრამ ექვსი სროლიდან ერთადერთი ჩააგდო და მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა მხოლოდ 12 წუთი გააჩერა მოედანზე.

კასელის და მარტინის გარდა „მინესოტას" გამთამაშებელი არ მოეძევება და „მგლებს" შეტევების დალაგებაც ხან ლატრელ სპრიუელს ევალებოდა და ხან 211-სანტიმეტრიან კევინ გარნეტს(!), მაგრამ მასპინძლებმა მაინც იყოჩაღეს. იმ დღეს „მგლები" ტყეში ნაპოვნი მაუგლივით უფრთხილდებოდნენ ბურთს და მთელი 48 წუთის განმავლობაში მხოლოდ 5-ჯერ დაკარგეს. „ლეიკერსს" კი 12 დაკარგვა მოუგროვდა და ვინაიდან ვერც სროლები წაუვიდა, ანგარიშში თანდათან ჩამორჩა მეტოქეს. „მინესოტამ" ბოლო მეოთხედის დასაწყისში 16 ქულამდეც გაზარდა უპირატესობა, მაგრამ ეს არ იყო დასასრულის დასაწყისი. „ლეიკერსს" უარესი გარღვევაც შეუვსია. სტუმრებმა იმდენი ქნეს, ერთი მონაკვეთი 10:0 მოიგეს და შემდეგ ორ ქულამდეც მიეპარნენ მასპინძლებს. ვინ იცის, ერთი-ორი ზედმეტი წუთი რომ ჰქონოდათ, იქნებ მიეღწიათ საწადელისთვის.

„მინესოტამ" მაინც შეძლო და ბოლო ხუთ წელიწადში ფინალში მეოთხედ გასვლა ორი დღით გადაუვადა ფილ ჯექსონის ვარსკვლავებულს. მეექვსე მატჩს „ლეიკერსი" მასპინძლობს თავის ულტრათანამედროვე „სტეიპლზ სენთერში", სადაც „მინესოტამ" ამ სერიაში უკვე ორჯერ მოასწრო წაგება.

**ბოტე ყორშია**

# ჩემპიონი ქალაქი კვლავ ჩემპიონია
## ქუთაისში ახლა ქალების დროა



[illegible] ფოტო

**არაერთი** ჩემპიონის ამღზრდელ ქუთაისში დღეს კალათბურთისთვის არავის სცხელა, მაგრამ ქუთათურებს დღესაც აქვთ მცირე სატრაბახო, მათი ქალთა გუნდი შაბათს საქართველოს ჩემპიონი გახდა.

დღეს ვაჟთა ჩემპიონატს აკლია ქომაგი და ქალებისას ხომ საერთოდ. მიუხედავად ამისა, ქალბატონები მაინც იკრიბებიან და თუ ფედერაციაც შეეშველებათ, ჩემპიონატსაც ატარებენ. ჰოდა, ამ სეზონში ფედერაციის დახმარებით უწინდელზე გაცილებით მოწესრიგებული ტურნირი გაიმართა, რომელიც შაბათს საფინალო სერიით დასრულდა.

ჩემპიონატში 6 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან 4 წრის შემდეგ ეს 4 მეპლეიოფე შეირჩა — „ქუთაისი", „ბათუმი", სტუ და თსუ. ნახევარფინალში ქუთათურებმა ბათუმელები დაამარცხეს, სტუდენტურ დერბიში კი სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა იძალეს.

ტექნიკოსები მესამე ადგილისთვის მატჩშიც დამარცხდნენ ბათუმელებთან, „ქუთაისმა" კი 2:0 მოუგო ფინალური სერია თსუ-ს.

იმერლებმა პირველი მატჩი 74:60 მოიგეს, შაბათს კი გაუჭირდათ შეუპოვარი სტუდენტების გატეხვა. თუმც თსუ-ელებს საბოლოოდ მაინც თეთრი დროშის აფრიალება მოუხდათ, რაკი ქუთათურთა ლიდერი ტანდემის ქაჯაია-ბუილიშვილის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა.

ქუთაისელებმა საბოლოოდ 5 ქულით გაიმარჯვეს და ჩემპიონობა დამსახურებულად შეინარჩუნეს.

**ირაკლი ბერტაია**

# ცსკა გვეპატიჟება

პირველიდან 20 ივნისამდე მოსკოვის ცსკა ტრადიციულ კემპს უმასპინძლებს და, შარშანდელისა არ იყოს, არც ეს ღონისძიება ჩაივლის უქართველებოდ.

ცსკა-დან ამჯერადაც „ბასკოში" მოვიდა მოწვევა, თუმც ბათუმურ კლუბში არსებული ფინანსური პრობლემების გამო მოსკოვს ამჯერად ზღვისპირელთა შედარებით ხალვათი დელეგაცია ეწვევა.

ცსკა-ს ბრწყინვალე ბაზაზე ოცი დღის განმავლობაში მრავალი ახალგაზრდა კალათბურთელი და მწვრთნელი დაეწაფება ცოდნას. მოეწყობა როგორც საჩვენებელი ვარჯიშები, ასევე სამწვრთნელო სემინარები. ქართველთა სამკაციან დელეგაციას ბათუმის „ბასკოს" გამაჩემპიონებელი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი უხელმძღვანელებს.

„ფინანსური გაჭირვების მიუხედავად, „ბასკოში" მაინც გამოინახა მოსკოვში გასამგზავრებელი თანხა. შარშან ცსკა-ს ბაზაზე შედარებით წარმომადგენლობითი შემადგენლობით გავემგზავრეთ, ახლა კი მხოლოდ სამნი მივდივართ. საზღვარგარეთ მიღებული განათლება და პრაქტიკა ახლა ძალიან სჭირდება ქართულ კალათბურთს და ამიტომაც ჩემი გუნდის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა, რომ მოსკოვში მივევლინებინეთ." — გვითხრა ნუგზარ კანდელაკმა.

კანდელაკთან ერთად ცსკა-ში ორი სრულიად ახალგაზრდა კალათბურთელი გაემგზავრება.

**ირაკლი ბერტაია**

## ჭიდაობა

# დარჩიამ დაარჩია

**დღეს** საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც იქაურ ნაკრებთან ერთად ორკვირიან შეკრებას ჩაატარებს და 13 ივნისს პარიზის გარეუბან კრეტიელში საერთაშორისო ტურნირზეც გამოვა.

ათენის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ გეგმაში ბერძენ-რომაელთათვის ეს ბოლო საზღვარგარეთული შეკრება იქნება, ხოლო ბოლო საერთაშორისო შეჯიბრს ათენში წასვლამდე ერთი თვით ადრე ესტუმრებიან. ივლისის მეორე ნახევარში პოლონეთში ბეგი დარჩია შეგირდებს თავისუფალი წონით აჭიდავებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ზედმეტ კილოგრამებს არ დააკლებინებს და ზედა წონებში გაიყვანს.

პოლონეთამდე ნაკრები თითქმის ოცდღიან საერთო ფიზიკურ მომზადებას ბაკურიანში გაივლის. დასკვნით ფაზაში კი ორი ურეკული შეკრებაა დაგეგმილი. გუნდის თავკაცისგან გუშინ ერთი სიახლეც შევიტყვეთ: ბერძენ-რომაელები ათენში პარტიულ ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად არ წავლენ. უკეთ მოსამზადებლად თბილისში დარჩებიან და საბერძნეთს თავიანთი სახეობის სტარტამდე ოთხიოდ დღით ადრე, 19 აგვისტოს მიაშურებენ.

პარიზში ბეგი დარჩია და ოთარ ტატიშვილი უძლიერეს შვიდეულს იახლებენ. მათგან ექვსს ოლიმპიური ლიცენზია დაბევებული აქვს. ბადრი ხასაიას (74 კგ) საკითხი კი ოფიციალურად მოგვარებული ჯერაც არაა. 15 ივნისს თბილისში საერთაშორისო ფედერაციის თავკაცი რაფაელ მარტინეტი უნდა ჩამოვიდეს და იმედია, მეშვიდე ლიცენზიის ბედიც ამ ვიზიტისას გაირკვევა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| | |
|---|---|
| 55 კგ | ირაკლი ჭოჭუა |
| 60 კგ | აკაკი ჩაჩუა |
| 66 კგ | მანუჩარ კვირკველია |
| 74 კგ | ბადრი ხასაია |
| 84 კგ | მუხრან ვახტანგაძე |
| 96 კგ | რამაზ ნოზაძე |
| +96 კგ | მირიან გიორგაძე |

## ჭადრაკი

### ევროპის ჩემპიონატი

**თურქეთი.** ანთალია. 14-31 მაისი

**XI ტური**

მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი) — ზვიად იზორია (საქართველო) 1:0

იან სმიტი (ჰოლანდია) — ბაადურ ჯობავა (საქართველო) 0,5:0,5

*მხოლოდ ქართველთა შედეგები*

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 9 |
| 2 | პრედრაგ ნიკოლიჩი (სერბია-ჩერნოგორია) | 9 |
| 3 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 8,5 |
| 4 | ლევონ აროიანი (სომხეთი) | 8,5 |
| 5 | ევგენი მიროშნიჩენკო (უკრაინა) | 8,5 |
| 26 | ზვიად იზორია (საქართველო) | 7 |
| 28 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 7 |

*ტაი-ბრეიკებით ჩემპიონი ივანჩუკი გახდა*

### ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

**ელისტა.** რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

**IV წრე**

ქსუ იუჰუა (ჩინეთი) — ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი) 0:1 (0:1)

ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1:0 (0:1)

ვიქტორია კმილიტე (ლიტვა) — მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) 1:0 (0:1)

ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) — ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 0:1 (1:0)

## რაგბი

### საქართველოს თასი
### III ეტაპი. ძირითადი ექვსეული

**I ტური**

**დათვები 15:38 ლოკომოტივი**

**ლელო 42:21 აია**

**ყოჩები 18:11 იმედის L აკადემია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 38:15 | 2 |
| ლელო | 1 | 1 | 0 | 0 | 42:21 | 2 |
| ყოჩები | 1 | 1 | 0 | 0 | 18:11 | 2 |
| აკადემია | 1 | 0 | 0 | 1 | 11:18 | 0 |
| აია | 1 | 0 | 0 | 1 | 21:42 | 0 |
| დათვები | 1 | 0 | 0 | 1 | 15:38 | 0 |

**VII-X ადგილები**

**უნივერსიტეტი 12:6 ხულიგანა**

**XI-XIV ადგილები**

**შ.ჯ. დინამო 45:5 ბაძო**

**არმაზი 36:5 ყოჩები 2**

## ჰოკეი

### პლეი ოფი. ფინალი

— 29 მაისი —

**ტამპა 1:2 კალგარი**

**კალგარი 3:0 ტამპა**

*0:0 2:0 1:0*

1:0 საიმონი (34), 2:0 დონოვანი (38), 3:0 იგინლა (59)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი საპრიზო 13 263 280 €

# გუგამ ისევ დაიგუგუნა



REUTERS

გუსტავო კუერტენს მთავარი ფავორიტი შემოემარცხა

29 მაისი. შაბათი

**კაცები**

**მესამე წრე**

**გუსტავო კუერტენი** (28, ბრაზილია) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:4, 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:7 (1:7), 6:3, 7:6 (7:1), 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (12, ავსტრალია) — მარტინ ფერკერკი (19, ჰოლანდია) 6:2, 3:6, 4:6, 6:2, 6:1; **მარატ საფინი** (20, რუსეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:7 (4:7), 6:4, 3:6, 7:5, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (23, ესპანეთი) — ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა) 7:6 (7:3), 4:6, 6:0, 6:3; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:0, 6:4, 6:7 (5:7), 6:4; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:3), 6:3

იმ დღეს ერთბაშად ორი სასწაული მოხდა — ამქრის ოდინდელმა პირველოსანმა და როლანგაროსობის სამგზის მომგებმა გუსტავო კუერტენმა ისე ბრწყინვალედ ითამაშა, როგორც მხოლოდ თავის საზეო წლებში იცოდა ხოლმე, ამქრის ამჟამინდელმა პირველოსანმა როჯერ ფედერერმა კი ისე ჩაიფლავა, როგორც მხოლოდ თავის უჩინარ წლებში ეპატიებოდა.

არა, ამ წაგებას მაინცდამაინც არც ისეთი კატასტროფული უნდა ეწოდოს, მაგრამ კაცისგან, რომელსაც მისი ბოლოდროინდელი ჯადოსნური ჩოგნაობის გამო წლის ოთხივე სლემტიტულის მოხვეჭას ველოდით, ჩვენ იმაზე გაცილებით მეტს მოველოდით, ვიდრე ეს როლანგაროსობის მესამე წრეში წაფორხილებაა — თუ გადატანითი და თუ პირდაპირი მნიშვნელობებით!

მაშინ, როცა კაფანდარა ბრაზილიელი მეტოქის წილ კორტს ორივე მხრიდან აყუმბარებდა, ფედერერი ძალზედ ზანტად მოძრაობდა და კორტზე ფეხის შემაგრება ისე უჭირდა, მატჩის მსვლელობისას ხუთჯერ გასრიალდა კიდეც.

სადღა იყო მისი მრავალდარტყმა არტილერია, უნატიფესი ხელწალმები, დამთრგუნველი თარეში ბადესთან თუ ყოველივე ამის თანმდევი ეშხიანი ფარფატი. კუერტენმა, ვინაც 2002 წლის დასაწყისში ნაოპერაციევი ბარძაყი წლეულს ადრეაპრილში გაიმიზეზა და საყოველთაო მოლოდინით, აქ არაფრის მიმღწევი არ უნდა ყოფილიყო, ფედერერის წინაალმდეგ მორიგ გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართა.

შეგახსენებთ, რომ წინა ორ ჯერზე როჯერი სულაც პირველსავე წრეში დაჩოგნეს.

რა მოხდა? ამაზე პასუხებს მაინც ზეგარდმო პირველოსანი ქვემოთ წარმოდგენილ ინტერვიუში იძლევა.

სხვაფრივ — მორიგი ხუთსეტიანი და ოთხსაათნახევრიანი დავიდარაბა გადაიტანა ოყრაყმა რუსმა მარატ საფინმა. მან ამჯერად უსახელო იტალიელს, მეორე წრიდან თვით სებასტიან გროჟანის მაოტარ იტალიელ პოტიტო სტარაჩეს აჯობა. არადა, მეოთხე სეტში, 4:5-ზე საფინს ორი მატჩბურთის მოგერიებაც მოუხდა, რის მერეც მან ჩოგნის ქნევისგან დაბებრებული ხელის გადასახვევად აქიმს მოუხმო.

ასევე ხუთი სეტის განმავლობაში ეომა „დავითი" ჰიუიტი შარშანდელ ფინალისტ „გოლიათ" მარტინ ფერკერკს. ლეიტონს ახლა ერთი მოგებაღა აშორებს თავისი საუკეთესო როლანგაროსული შედეგისგან. ეს კი უწინარესად იმის გამო ხდება, რომ წლეულს მან პარიზულ სეფეტურნირამდე მისთვის უპრეცედენტოდ ბევრი, 14-თიხნარმატჩი გამართა და, შესაბამისად, უხერხულ საფართან კაცურად გარჩევაც მოასწრო. თიხნარზე თავს ახლა ისე კარგად ვგრძნობ, როგორც რომ არასოდეს მიგრძვნიაო, ამბობდა ნამატჩევს ჰიუიტი და, ღია ღმერთო, არც გაემტყუნებოდა.

**ქალები**

**სერენა უილიამსი** (2, აშშ) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:0, 6:4; **ვინუს უილიამსი** (4, აშშ) — მარი პირსი (30, საფრანგეთი) 6:3, 6:1; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — ელენა ბოვინა (25, რუსეთი) 6:2, 3:6, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (11, რუსეთი) — მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 3:6, 6:3, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (17, იტალია) — ვირხინი რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ფაბიოლა სულუაგა** (23, კოლუმბია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 5:7, 6:2, 6:3; **შინობუ ასაგოე** (იაპონია) — ხისელა დულკო (არგენტინა) 7:5, 4:6, 6:4

როგორც ჩანს, ვინუს უილიამსმა თამაშ-თამაშ დაიბრუნა ის ფორმა, რამაც მას აპრილში ზედიზედ ორი ტიტული მოაგებინა. ყოველ შემთხვევაში ტურნირის ოდინდელმა ჩემპიონმა მარი პირსმა მის დამაჯერებელ, სტაბილურ გლაჯუნს იმ დღეს ვერაფერი დაუპირისპირა და მალე დანებდა. ეს ვინუსის უკვე ზედიზედ მე-18 თიხნარგამარჯვებაა და კიდევ იმის გათვალისწინებითაც, რომ მას უკვე საერთოდ აღარ აწუხებს სამი კვირის წინ ბერლინში გადაბრუნებული კოჭი, უილიამსთა ოჯახიდან ამ ტურნირზე მთავარი ფავორიტადაც სწორედ იგი უნდა მიიჩნიეს.

მით უფრო, რომ მისი უმცროსი დაიკო სერენა, რომელმაც მასთან შედარებით წლეულს უფრო ცოტა ითამაშა, ახლა საკმაოდ ოკრობოკროდ გამოდის. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ცხვირა ტალაიას წინააღმდეგ, როცა მშრალად მოგებული პირველი სეტის შემდეგ სერენამ თავადვე აურია და საქმე საბულრაოდ გაიხადა.

გაუჭირდა ჯენიფერ კაპრიატისაც, თუმცა ეს გასაკვირი სულაც არ იყო, რაკიღა მას მძლავრსა და ნიჭიერ რუსგოგოსთან ელენა ბოვინასთან მოუხდა რკენა. 28 წლის ჯენიფერარის, ვისაც აქ 2001 წელს უჩემპიონია, საზეო ფორმისგან ახლა ძალიან ბევრი აღარ აშორებს. იმ დღეს კი მასაც თავად ბოვინას არასტაბილურობაც დაეხმარა — ჯანით ჭეშმარიტად ზეათეულელ ლენას ნერვები ჯერაც ხელს უშლის იმაში, ჩოგანი თავის ნიჭიერ თვისტომებს ბოლომდე რომ აუბას.

**ლევან ძელაურაძე**

30 მაისი. კვირა

**კაცები**

**მესამე წრე**

**ქსავიერ მალისე** (28, ბრაზილია) — ალბერტ კოსტა (26, ესპანეთი) 6:4, 2:6 4:6, 7:6 (7:4), 8:6

**მეოთხე წრე**

**გილიერმო კორია** (3, არგენტინა) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:0 *ესკუდემ შეწყვიტა*; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — ტომი რობრედო (17, ესპანეთი) 7:6 (10:8), 6:4, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (9, დიდი ბრიტანეთი) მიხაელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:7 (2:7), 4:6, 6:4, 6:3 9:7; **ხუან-იგნასიო ჩელა** (22, არგენტინა) — ოლივიე მატი (საფრანგეთი) 4:6, 6:2, 7:6 (7:5), 6:2

**ქალები**

**მეოთხე წრე**

**სერენა უილიამსი** (2, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:3, 6:1; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — მაგდალენა მალეევა (21, ჩეხეთი) 6:2, 6:1; **ვენუს იულიამსი** (4, აშშ) — ფაბიოლა ზულუაგა (23, კოლუმბია) 6:1, 6:5; **ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 6:1, 6:3; **ანასტასია მისკინა** (6, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (11, რუსეთი) 1:6, 6:4, 8:6; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (17, იტალია) 7:5, 6:1; **პაოლა სუარესი** (14, არგენტინა) — ჟი წენგი (ჩინეთი) 6:4,7:5; **მარია შარაპოვა** (18, რუსეთი) — მარლენ ვეინგარტნერი (გერმანია) 6:3,6:1;

# სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს

## ფედერერმა კორტი დაიწუნა და გუგა მოიწონა

*ტურნირის ყველაზე დიდ სენსაციად — თქვენ რაც გინდათ, ის თქვით და — მე მაინც ამქრის ზეგარდმო პირველოსნის, შარშანდელი უიმბლდონისა და ავსტრალიის წლევანდელი ღია ჩემპიონატის გამარჯვებულის როჯერ ფედერერის დამარცხება მგონია. ეს იმის მიუხედავად, რომ მესამე წრეში მას ვინმემ კი არა, როლანგაროსობის სამგზის ჩემპიონმა და ამქრის ოდინდელმა პირველოსანმა გუსტავო ანუ შინაურულად გუგა კუერტენმა აჯობა. ქვემოთ წარმოდგენილ ინტერვიუში, რაიც ფედერერმა ჩვენს დასავლელ კოლეგებს სწორედ გუგასთან დამარცხების შემდეგ მისცა, ის ამ მარცხის მიზეზებსა და სხვა საინტერესო რამე-რუმეებზე საუბრობს*

— შეგიძლიათ, ეს მატჩი გააანალიზოთ? დიდი მას ალბათ არ ეთქმოდა, არა?

— უკვე გააანალიზეთ და ეგ არის (ეღიმება)... რა გითხრათ, ჯერ თავადაც არ ვიცი, თუ რატომ წავაგე, თან რატომ წავაგე სეტისმოუგებლად ან რატომ შეძლო გუგამ მატჩის ასე უპრობლემოდ მოგება. ჰო, ახლა მართლაც ვერაფერს აგიხსნით. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ გუგა დღეს უკეთესად აწვდიდა და ალბათ გადამწყვეტიც ეს იყო, თორემ მე ჩემის მხრივ ყველაფერი ვცადე, რაც შემეძლო.

— იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ მწვრთნელი არა გყავთ და საჭირო მომენტში რჩევასაც ვერავის ეკითხებით?

— არა, ეს ჩემთვის პრობლემა არ არის.

— შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გადაადგილება გიჭირდათ და მოძრაობისას მაინცდამაინც თავდაჯერებული არ იყავით.

— ეს სიცხის და სველი კორტის ბრალი იყო, ამის გამო ფეხები მისრიალებდა და წონასწორობის დაცვას ვერ ვახერხებდი. ეს დარტყმების სიზუსტეზეც აისახა, ერთი-ორჯერ კი კინაღამ დავეცი კიდეც.

— თითქოს ჩოგანიც ვერ შეარჩიეთ.

— მართალი ბრძანდებით. ბურთი დღეს უფრო სწრაფად დახტოდა და მთელი მატჩის განმავლობაში ვერაფრით მოვახერხე, ჩოგანი შემერჩია. გუგას ეს პრობლემა არ ჰქონია, მე კი მქონდა.

— დღეს თქვენ არაფერი გამოგდიოდათ, ვერც თქვენს სათულფე ხელუკუღმებს ურტყამდით, ვერც ფრენდარტყმებში იმარჯვეთ, აბრაგანებიც ჩაგიფლავდათ...

— იცით, ყველაფერი ალბათ მაინც გუგას კარგმა თამაშმა განაპირობა. ეგ არის და ეგ... ის დღეს ძალიან ზუსტად, უშეცდომოდ თამაშობდა და ჩემთვის ბევრი შანსი არ მოუცია. თანაც, რაკიღა ფეხებზე მყარად ვერ ვიდექი, ამან თავდაჯერებულობა განმიქარვა. ბადესთანაც ვერაფერი გავახერხე.

— ქომაგებმა ხომ არ გაგაღიზიანეს. ისინი სულ „გუგა, გუგა-ს" ყვიროდნენ.

— მან ეს დაიმსახურა. ის სამართლიანი მეჩოგნეა და თანაც აქ იმდენჯერ უმარჯვია. არა, ქომაგებს ვერაფერს დავაბრალებ, რადგანაც გუგას ისინი მხარს დამსახურებულად უჭერდნენ.

— რის გაკეთებას ეცდებით მომავალში, რათა ნავსი გატეხოთ და თიხნარზე კომფორტულად ჩოგნაობა მოახერხოთ?

— ჩემი პრობლემა თიხნარი არ არის. ჩემი პრობლემა ალბათ უფრო ცენტრალური, „შატრიეს" კორტია. სხვა კორტებზე მე რიგიანად ვთამაშობ, მაგრამ აქ კი რაღაც მემართება. არ ვიცი, ეგებ გაისად საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ვთხოვო, რომ აქ ერთი კვირის განმავლობაში თამაშის ნება დამრთონ... სხვა თიხნარტურნირებზე, დევისთასზეც ნორმალურად გამოვდივარ ხოლმე, ასე რომ, გიმეორებთ, პრობლემები თიხნარზე კი არა, კონკრეტულად ამ კორტზე მექმნება.

— გუგას აქამდე ორჯერ შეხვედრიხართ და თიხნარზეც დაგიმარცხებიათ. ამ და იმ მატჩებს ხომ არ შეადარებდით? დღეს უკეთესად ითამაშა?

— ჰამბურგული მატჩის პირველი სეტი 6:0 მოვუგე. მართლაც სასწაულად ვითამაშე, მაგრად ვაწოდებდი, ხელუკუღმაც დაუჯერებლად წამივიდა. მეორეში მან მდგომარეობა გამოასწორა, მესამეში კი ისევ მე ვიძალე... თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მასთან ორი მატჩი წაგებულიც მაქვს. თავადაც კარგად მოგეხსენებათ, ის ბევრ შეცდომას არ უშვებს ხოლმე. ხოლო, თუკი დღევანდელივით აწოდებს, მაშინ მასთან გამკლავება ძალზედ ძნელი ხდება.

— სათიხნარო სეზონი ხანმოკლეა. ხომ არ გგონიათ, რომ როლანგაროსობამდე კიდევ რამდენიმე მატჩიც უნდა გეთამაშათ,



REUTERS

რათა, ვთქვათ, იმავე კუერტენს უკეთეს ფორმაში შეხვედროდით?

— იცით, წლეულს საკმარისად ვითამაშე და საკმარისადვე მოვიგე: ცოტა თუ არ დაისვენე, გადაიწვები კიდეც. მონტე კარლო და ბარსელონა სწორედ ამიტომ გამოვტოვე. საამტურნიროდ ისევე ვემზადე, როგორც წინა წლებში, იმ წლებისვე მსგავსად აქ გამარჯვებული, კარგი განწყობით აღჭურვილი ჩამოვედი. მაგრამ დღეს მეტოქემ ჩემზე უკეთ ითამაშა და ყველაფერიც ამან გადაწყვიტა. ვნახოთ, საგაისოდ ალბათ რაღაცას შევცვლი და შევეცდები, როგორღაც მართლაც განსხვავებულად მოვემზადო.

— როდესაც ნახეთ, რომ მესამე წრეში გუგას უნდა შეხვედროდით, რა იფიქრეთ — რომ ეს მძიმე მატჩი იქნებოდა თუ იმის გამო, რომ გუგას ტრავმა ჰქონდა გადატანილი, მოგება გაგიადვილდებოდათ?

— გუგას და ფერერისნაირი ხალხი აქ კარგი ჩოგბურთის სათამაშოდ ჩამოდის და არა სალაღაოდ. თუმცა, რა დასამალია, როცა პირველ წრეში გაუჭირდა, ვიფიქრე, იქნებ ჩემთანაც ეგრე იყოს-მეთქი, მაგრამ, თავადაც იხილეთ, ყველაფერი სხვანაირად მოხდა.

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეშვიდე ეტაპი




მიხაელ შუმახერი ყველაზე მაღლა!

# ხანძარი!

## მაკლარენს გული ეწვის

**მიხაელ შუმახერმა** შვიდი რბოლიდან ექვსი მოიგო და 60 ქულა აქვს; ჯენსონ ბატონი თავისი ჯაგლაგი ბარ-ით 5-ჯერ შედგა პოდიუმზე; და მატა, ჰაიდფელდი და მასა კიდევ უფრო ჯაგლაჯი მანქანებით ახერხებენ რბოლის დამთავრებას და ზოგჯერ ქულებსაც ჩაიჩხრიალებენ ყულაბაში; და ამხელა „მაკლარენს" ამისთანა უსაშველო რა დაემართა?!

დევიდ კულჰარდს თავი დავანებოთ, მაინც ჩამავალი ვარსკვლავია. მის ყმაწვილ თანაგუნდელს კიმი რაიკონენს მიხაელ შუმახერისთვის საკუთარ მანქანიდან გამონაბოლქვი უნდა ეყლაპებინა და საჩემპიონო რბოლაში გამოდევნებოდა. ახლა კი რა გამოდის, შვიდმა დიდმა პრიზმა ჩაიარა და კიმის ანგარიშზე ერთადერთი ქულა ზის. მის გამონაბოლქვს ახლაც ყლაპავენ მრბოლები, მაგრამ ეს სხვა გამონაბოლქვია — ეს „მერსედესის" ძრავა ბოლავს.

წინ 11 ეტაპია, ჩემპიონატის ლამის ორი მესამედი გასავლელია, მაგრამ „მერსედესის" ძრავამ მაკებისთვის ყველაფერი დაამთავრა. წლეულს რაიკონენის საჩემპიონო შანსებზე საუბური სასაცილოა, ხოლო „მერსედესის" და „მაკლარენის" წარსული, ერთობლივი დიდების გახსენება უადგილო. დღეს „მერსედესი" „მაკლარენის" ჯალათია.

ვერც „უილიამსის" წყვილს მისდის საქმე ჩემპიონურად. ხუან პაბლო მონტოია ხან ახერხებს რალაცას, ხან ვერა, რალფ შუმახერს კი ამასაც ვერ ახერხებს. რალა ბევრი გავაგრძელოთ და, სანამ ორი კონკურენტი საჯინიბო ძრავების, შეჭიდულობის, გადაცემათა კოლოფების თუ სხვა ამქვეყნიური პრობლემების მოგვარებას ცდილობს, მიხაელ შუმახერი იოლად იგერიებს მის უკან გამოთავისუფლებულის ადგილის შემვსებ საშუალოების „რენოსა" და ბარ-ს და არაამქვეყნიურ მიღწევებს ეთამაშება.

ნიურნბერგში, ევროპის დიდი პრიზის გათამაშებისას უფროსმა შუმახერმა ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით გააკეთა — მისთვის რბოლის მოგება ძაღლთან ერთად გასეირნებისავითაა — მოიგო ჯერ პოული და რბოლაში თავიდანვე დაწინაურებულს არავინ არაფერში დაუეჭვებია. ერთხელ დაკარგა ლიდერობა, ბოქსებში პირველ შევლაზე, მერე კი სხვებმაც რომ გამოცვალეს საბურავები და ჩაიმატეს საწვავი, რბოლის სადავეები უკუიპყრო და ალარვისთვის დაუთმია. და სანამ ბოქსებში შევიდოდა (მე-7 წრეზე), უახლოეს მდევარს არც მეტ არც ნაკლებ 17 წამს უგებდა.

ჯერ მხოლოდ კანტი-კუნტი საუბრები გაისმის — შუმახერი ფორმულა 1-ში ინტრიგას კლავს და ინტერესს ანელებსო. თუ ასე გააგრძელა, მალე შუმის ხვეწნას დაუწყებენ, წადი თავი დაგვანებეო. მის ეპოქაში მხოლოდ მეორე ადგილისთვის ბრძოლას შერჩა ინტერესი.

გუშინ „ნიურბურგრინგზე" შუმის უკანა ადგილისთვის ისევ ჭრელი შემადგენლობა იბრძოდა. მსუყე ქულებისთვის ერთმანეთს ედავებოდნენ, როგორც შუმახერის ჩაფლავებული კონკურენტები („უილიამსი", „მაკლარენი") ასევე საშუალო ბარ-ელები და რენოელები. აქვე იყო მიხაელის თანაფერარელი რუბენს ბარიკელოც.

სტარტი საინტერესო გამოვიდა, თუ ცხადია, შუმახერის მეყსეულ დაწინაურებას ყურადღებას არ მივაქცევთ. წინა დღით, კვალიფიკაციაზე მოულოდნელად მეორე ადგილის დამჭერი და სტარტზე შუმის გვერდიგვერდ აღმოჩენილი ბარ-ელი ტაკუმა სატო, ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ ვერც ჩემპიონს გადაასწრო და მესამე ადგილიდან დაძრული იარნო ტრულიც ვერ შეაკავა. ამათ უკან კი პირველივე მოსახვევში ჩოჩქოლი ატყდა. უილიამსელმა მონტოიამ ზედმეტად მოინდომა და ვიწრო მოსახვევში სხვებზე სწრაფად შევარდნილი მასზე ოდნავ წინ მიმავალ თანაგუნდელ რალფ შუმახერს ფერდში ცხვირით შეერჭო. მონტოია იოლად გადარჩა. მხოლოდ ბოქსებში შესვლა და ბოლიდისთვის წინა ფრთების გამოცვლა დასჭირდა, მისგან კვანტდადებული რალფი კი იმ მოსახვევში გზიდან გადავიდა (კრისტიანო და მატაც გადაიყოლია) და ვეღარც მოუბრუნდა ტრასას.

მეორე-მესამე ადგილისთვის გაჩაღებულ დავაში ერთი ხანობა აქტიურად მონაწილეობდა კიმი რაიკონენი, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 9 წრის გავლის შემდეგ მას „მერსედესის" ძრავმა უმტყუნა და 35-ე წრეზე იგივე დაემართა კულჰარდს.

ტაქტიკურად ყველას აჯობა რუბენს ბარიკელომ, რომელმაც რბოლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ არჩია საწვავის ჩამატება დისტანციის ორი მესამედის გავლის შემდეგ, როცა მის წინ მიმავალმა ბარ-ელებმა სატომ და ბატონმა მესამედ შეიარეს ბოქსებში, ბარიკელო მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

მაგრამ ყველაფერი ასე იოლად არ ჩამთავრებულა. ფხუკიანი ტაკუმა სატო ვერ შეეგუა მეორე ადგილის დაკარგვას და ღვაწლიან რუბინიოს თავხედურად შეუტია — ერთ მოსახვევში ბრაზილიელზე გვიან დაავდო სიჩქარე და თითქოს პირველიც შევიდა, მაგრამ მონტოიას დარად მანაც წაიტეხა ცხვირი და ბოქსებში გაუტია. დროულად უშველეს და სატო მეხუთე პოზიციაზე დაუბრუნდა რბოლას, მაგრამ მალე მანქანა გაუფუჭდა და პოდიუმზე მოხვედრას რას ჩივის, საერთოდ უქულოდ დარჩა.

ბარიკელოს კი უკან აღარავინ მისდევდა, მის წინ მხოლოდ მიხაელ შუმახერი იყო და ორმა ფერარიმაც ამ სეზონში მეოთხე დუბლით გადაკვეთა ფინიში.

**კოტე ყორშია**




რალფ შუმახერმა თანაგუნდელ ხუან-პაბლო მონტოიას წყალობით პირველ მოსახვევში დაასრულა რბოლა

### რბოლის შედეგები

**ევროპის დიდი პრიზი**
**30 მაისი. ნიურნბერგი**
დისტანცია 60 წრე — 308,863 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1:32.35,101 (200,2 კმ/სთ) |
| 2 | (7) | ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 17,989 |
| 3 | (5) | ბატონი (B.A.R) | 22,535 |
| 4 | (3) | ტრული (რენო) | 53,673 |
| 5 | (6) | ალონსო (რენო) | 1.0,987 |
| 6 | (19) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1.13,448 |
| 7 | (14) | ვებერი (იაგუარი) | 1.16,206 |
| 8 | (8) | მონტოია (უილიამსი) | 1 წრით |
| 9 | (16) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 10 | (13) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 11 | (10) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 12 | (12) | კლიენი (იაგუარი) | 1 წრით |
| 13 | (15) | პანტანო (ჯორდანი) | 2 წრით |
| 14 | (20) | ბრუნი (მინარდი) | 3 წრით |
| 15 | (17) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (2) | სატო (B.A.R) | გაიარა 47 |
| (18) | კულჰარდი (მაკლარენი) | 25 |
| (4) | რაიკონენი (მაკლარენი) | 9 |
| (9) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 0 |
| (11) | და მატა (ტოიოტა) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**კვალიფიკაცია**
მიხაელ შუმახერი — 1.28,351

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | | | | | | | | | | | | 60 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | | | | | | | | | | | | 46 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | | | | | | | | | | | | 38 |
| 4 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | | | | | | | | | | | | 36 |
| 5 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | | | | | | | | | | | | 25 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | | | | | | | | | | | | 24 |
| 7 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 5 | – | 2 | 2 | 3 | – | – | | | | | | | | | | | | 12 |
| 8 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | | | | | | | | | | | | 8 |
| 9 მასა ზაუბერი, ბრაზილია | – | 1 | – | – | – | 4 | – | | | | | | | | | | | | 5 |
| 10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | | | | | | | | | | | | 5 |

კულჰარდი (მაკლარენი) — 4 ქულა; და მატა (ტოიოტა) — 3; ვებერი (იაგუარი) — 3; ჰაიდფელდი (ჯორდანი) — 2; რაიკონენი (მაკლარენი), პანი (ტოიოტა) — 1

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | ჩინეთი | იაპონია | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | | | | | | | | | | | | 106 |
| 2 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | | | | | | | | | | | | 61 |
| 3 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | | | | | | | | | | | | 46 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | | | | | | | | | | | | 36 |
| 5 ზაუბერი | – | 1 | – | – | 2 | 4 | 3 | | | | | | | | | | | | 10 |

მაკლარენი — 5 ქულა, ტოიოტა — 4, იაგუარი — 3; ჯორდანი — 2

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჰოლივუდით სავსე

რაც უფრო უახლოვდება „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ფინალს, მით უფრო იზრდება კინოვარსკვლავთა ოდენობა „სტეიპლს სენთერში". „ლეიკერსი" „მინესოტას" ებრძვის, ჯეკ ნიკოლსონი კი თავის ქალიშვილ ლორენს და ანტონიო ბანდერას - მელანი გრიფიტის წყვილს უხსნის რაღაცას. ლეო დი კაპრიო და მისი გოგო ჟიზელ ბუნდხენი კი თამაშის გამო თუ ღელავენ.





REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლამაზები კიტოში



REUTERS კიტოდან

მაინც შეჯიბრი ეთქმის და თანაც, ლამაზი ქალებისა, ეკვადორის დედაქალაქ კიტოში 1 ივნისს „მის სამყარო 2004" უნდა გამოვლინდეს. იქაური „მარიოტის" ჩანჩქერთან კი იღიმის „მის ავსტრალია" ჯენიფერ ჰოკინსი.

# რენე მტრის ბანაკში

ხომ გახსოვთ დიდი კოლუმბიელი მორიელი რენე იგიტა, ის ახლა ეკვადორის ნაკრების მეკარეებს ავარჯიშებს. 2 ივნისს ეკვადორელები იგიტას სამშობლოს გუნდს მასპინძლობენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, უბერებელი რენე კი ნაკრების ვარჯიშზე მოყვანილ ხეიბარ ბიჭუნას ესაუბრება.



REUTERS კიტოდან

# კალათბურთიც ვარჯიშია

ახლა ისეთი დროა, რომ ფეხბურთელს კალათბურთიც სჭირდება. სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კვირა ახლოვდება და ბოლივიელებთან საბრძოლველად მზად მყოფი პარაგვაის ნაკრები კალათბურთსაც მოიხმარს. როკე სანა კრუსი ფეხბურთის ბურთით აზიდულა საბავშვო ზომის კალათთან.



REUTERS ასუნსიონიდან

## ფეხბურთი

### დანია

I დივიზიონი. XXVII ტური

ფრემადი 2:1 რანდერსი

### პოლონეთი

I ლიგა. გადადებული მატჩი

ოდრა 1:2 პლოცკი

### ამხანაგური მატჩები

ისლანდია — იაპონია 2:3; შოტლანდია — ტრინიდადი 4:1; უელსი — კანადა 1:0; ალჟირი — იორდანია 1:1; ესტონეთი — დანია 2:2; ტუნისი — იტალია 0:4; ჩეხეთი — ლიხტენშტაინი გადაიდო

### სლოვენია

სი მობილ ლიგა

XXXII ტური

მურა — მარიბორი 2:1; ნოვა გორიცა — კოპერი 2:0; ოლიმპია — პრიმორიე 3:0; პუბლიკუმი — დრავოგრადი 5:1; შმარტნო — ლიუბლიანა 3:1; პტუი — დომზალე 3:1

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

B ჯგუფი. II ტური

გერმანია 1:2 შვედეთი

შვეიცარია 2:2 პორტუგალია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge